# ნაკადული

140
2006



# საქართველოს მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისის 21-ე საჯარო სკოლა



Ia კლასი,
ხელმძღვანელი
ფატი შარაშენიძე



III კლასი,
ხელმძღვანელი
ლელა ლეგაშვილი



IIIბ კლასი,
ხელმძღვანელი
ნანი ხარაული,
მუსიკის პედაგოგი
ეკა ჩუბინიძე



Iბ კლასი,
ხელმძღვანელი
ნინო გოგსაძე
ქართული ენის პედაგოგი
სოფო გიორგაძე

ოლეგ გველესიანის ფოტოები

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2006 წ. № 4

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაკადულის ნაფუძარზეა აღზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი" ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

ვ. ბერიაშვილი – ისტორია
(ფანტასტიკური მოთხრობა) ---------- 5
„ოდოშხერი" ---------- 9,18,22
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 10
10 წლის მოგზაური ---------- 12
გიწვევთ ფრანების ფესტივალზე ---------- 14
გვესაჭიროება რაინდები ---------- 16
ნიკოლოზ ცხვედაძე (მშრომელი წარვალს
და ნაშრომი ჰგიეს) ---------- 19
გალამაზდით (ექიმ-კოსმეტოლოგ ლამარა ცუცქირიძის
რჩევები გოგონებს) ---------- 21
შარვალი მაწანწალებისა და პრეზიდენტებისათვის ---------- 25
„მაგარი" გამოგონებები ---------- 30
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
იწილო-ბიწილო ---------- 32

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ზაურ დეისაძისა

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში.
რეგისტრაციის № 06/4-575

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## გაეროს ბავშვთა ფონდის ახალი სამოქმედო პროგრამა

თბილისში გაიმართა გაეროს ბავშვთა ფონდის 2006-2010 წლების სამოქმედო პროგრამის პრეზენტაცია. პროგრამის მიზანია საქართველოში ყველაზე დაუცველი ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

როგორც გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ქალბატონმა ჯოვანა ბარბერისმა აღნიშნა, პროგრამა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლა-განვითარებას, ბავშვთა დაცვასა და ბავშვის უფლებათა პოპულარიზაციას, ასევე სოციალურ მონიტორინგს. - აღნიშნული პროგრამის ფარგლებში „იუნისეფი" თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და სხვა პარტნიორებთან, რათა გათვალისწინებულ იქნეს ყველაზე დაუცველ ბავშვთა უფლებები ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროებში. ჩვენი მიზანია, საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ იმ ბავშვებს, რომლებიც დღეს სიღარიბეში ცხოვრობენ და საზოგადოებისგან იზოლირებულნი არიან, რომლებსაც არ აქვთ ჯანდაცვისა და განათლების მიღების საშუალება, რომლებიც უნარშეზღუდულობისა თუ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო დღეისათვის ბავშვთა სახლებში იმყოფებიან. ჩვენ შევეცდებით, ხელი შევუწყოთ იმას, რომ გარემო და მთლიანად სისტემა საქართველოში ბავშვებისადმი უფრო კეთილგანწყობილი გახდეს, – აღნიშნა ბარბერისმა.

ახალი ოთხწლიანი პროგრამა მიზნად ისახავს აგრეთვე ბავშვთა უფლებების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას ყველა დონეზე, რათა შესაძლებელი გახდეს სიღარიბის დაძლევისკენ მიმართული ადგილობრივი სოციალური პროგრამების შემუშავება.

## 15 წლის პიანისტის დიდი გამარჯვება

დიდ წარმატებას მიაღწია საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ ნიკოლაი რუბინშტეინის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე 15 წლის თბილისელმა მოსწავლემ, პიანისტმა ანა ჭუმბურიძემ (პედაგოგი მაია ქავთარაძე). ანამ შესანიშნავად დაუკრა ყველა საკონკურსო ნაწარმოები, მათ შორის თავისი საყვარელი შოპენი და II ადგილი მოიპოვა.

## ქვეყნის პირველი ქალბატონი სტუმრად 72-ე სკოლაში

გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს პრეზიდენტის მეუღლეს, ქალბატონ სანდრა რულოვსს თბილისის 72-ე სკოლაში, სადაც მისი წიგნის პრეზენტაცია შედგა. ამ ინტერნაციონალური სასწავლო დაწესებულების მოსწავლეებმა ორიგინალურად წარმოადგინეს თავ-თავიანთი ეროვნული ეთნოგრაფიული კუთხეები და საკუთარი შემოქმედება. შეხვედრით ნასიამოვნებმა ქალბატონმა სანდრამ გულწრფელად უპასუხა ბავშვების კითხვებს მის წიგნში მოთხრობილის ირგვლივ.

## წარმატება მოსკოვის ფესტივალზე

მოსკოვში გამართულ ტრადიციულ ფესტივალზე „Зажги свою звезду" („აანთე შენი ვარსკვლავი") მიწვეულმა ორივე ქართველმა მომღერალმა ჟიურისა და მსმენელების დიდი მოწონება დაიმსახურა.

12 წლის სოფო კანდელაკმა პირველი ადგილი მოიპოვა (შესრულა ლაღიძის „თბილისო"), მაკა ქაჯაია კი ლაურეატი გახდა (შესრულა ოთარ ტატიშვილის ახალი რუსულენოვანი სიმღერა „ჩუდაკი" და ზურაბ ჩინჩალაძის სიმღერა „დაგელოდები"), მაკა ერევნის სატელევიზიო ფესტივალის „შემოდგომა 2005"-ის გრანპრის მფლობელიცაა. საქართველოს წარგზავნილების გარდა მოსკოვის ფესტივალში უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის და ევროპის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

# სიახლეთა დანერგვის გზით



ნანა ფიფია

საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმის, ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირებული და სწავლების სრულიად ახალი მიდგომებით გაჯერებული გარდაქმნების უმთავრეს მიზნად პროგრესის გზაზე შემდგარი ქვეყნის მომავლის მშენებელთა მომზადება დაისახა. ცნობიერებაში წლობით გამჯდარი ძველისაგან გათავისუფლებას და ახლის დანერგვას ყოველთვის ახლავს სიძნელეები, ასეა ახლაც და ამიტომ საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე დასახულმა მიზანმა ყველა ტიპის სასწავლებელში ენერგიული, განახლების სულისკვეთებით შემართული, ინიციატივიანი, გაბედული და რაღა თქმა უნდა, ყოველმხრივ მომზადებული ადამიანების ძალისხმევა მოითხოვა. სწორედ ასეთი თვისებამახასიათებლების გამო გამოარჩიეს სხვათაგან ნანა ფიფია, როდესაც მთელ საქართველოში საუკეთესო ტრადიციებით ცნობილი, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი, ბოლო დრომდე ქართულ-გერმანული საავტორო სკოლის სახელით ცნობილი 21-ე საჯარო სკოლის ხელმძღვანელობა მიანდვეს. თუმცა მანამდე ფონდში „ღია საზოგადოება საქართველოს“ განათლებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა პროგრამებზე მუშაობდა როგორც კოორდინატორი და რეფორმის ამოცანებიც კარგად ჰქონდა გათავისებული, 2005 წლის ივლისის იმ დღეს მაინც უჩვეულო კრძალვითა და ერთგვარი შიშითაც კი შეაღო ქალბატონმა ნანამ სკოლის კარი. იმ მონუსხულობა-გაუბედაობას, რომელსაც, როგორც წესი, ახალ საქმესთან პირველი შეხება იწვევს ხოლმე, ისიც ემატებოდა, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ თავად მან სწორედ ეს სკოლა დაამთავრა და იმ პედაგოგებს შორის, რომლებიც თუმცა კი გულღიად, თბილად, მაგრამ მაინც ერთგვარი თავშეკავებით შეხვდნენ ახალ დირექტორს, რამდენიმე თავისი ყოფილი მასწავლებელიც იცნო. ამ ფაქტორმა ერთი მხრივ თითქოს გაუადვილა პირველი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ იმავდროულად ოდნავ შებოჭა კიდეც და პასუხისმგებლობაც გაუმძაფრა. პროგრამა, რომლის თანმიმდევრულ განხორციელებასაც ახალი დირექტორი სკოლის ტრადიციებზე დაყრდნობითა და პედაგოგიური კოლექტივის თანადგომით შეუდგა, უპირველესად თვით სტრუქტურის შეცვლას ისახავს მიზნად. ამ ჩარჩოებში დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება, ახალი მეთოდოლოგიების ათვისება, ინტერაქტიური სწავლების დანერგვა, ეტაპობრივად ხორციელდება დებატების პროგრამა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს აქტიური და განათლებული მოქალაქის ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს მოზარდ თაობაში ინტელექტის, კრიტიკული და თავისუფალი აზროვნების განვითარებას. ამ პროგრამის ეფექტურად განსახორციელებლად მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები, რომლებშიც სიამოვნებით მონაწილეობენ ყველა თაობის პედაგოგები, რომელთა უდიდესი უმრავლესობა გაგებით შეხვდა სიახლეებს და გარდაქმნების პროცესშიც აქტიურად ჩაება. სკოლაში იანვრიდან შემოიღეს პორტფოლიები,



გადავიდნენ ქულურ შეფასებაზე, ჩამოყალიბდა ისტორიისა და გეოგრაფიის კათედრები, თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებამ სკოლას გრანტი მოუპოვა, რომლის საფუძველზეც მოხერხდა კლას-კაბინეტების აღჭურვა, ამ სასწავლებლის მესაძირკვლის, ბატონ გურამ რამიშვილის სახელობის კაბინეტ-ლაბორა-

ეროვნული



ტორიის მოწყობა, სადაც უფროსკლასელებს შეუძლიათ ნორმალურ ატმოსფეროში, თანამედროვეობის მოთხოვნილებათა შესატყვის გარემოში იმუშაონ. ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტ-ლბორატორიაში მუშაობს პროგრამა „ცივილიზაციათა დიალოგი", რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს, საკუთარი კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა გაიაზრონ მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში. მაღალი მიზნები მოსწავლეებისგანაც გაზრდილ პასუხისმგებლობას და სწავლისადმი ახალ მიდგომას მოითხოვს, ამიტომაც მოეკითხებათ მათ ამიერიდან უფრო მკაცრად გულმოდგინება და დისციპლინა. გამკაცრდა მეცადინეობების გაცდენის კონტროლიც, გარკვეული რაოდენობის გაცდენების შემდეგ ყოველი მოსწავლე ვალდებულია სპეციალური ტესტირება გაიაროს.

დაარსების დღიდანვე სკოლის პროფილად შერჩეული გერმანული ენის სწავლებას აქ დღესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. 1996 წელს გერმანელი ერიხ რაბიჩის მიერ შემოტანილი და ბატონ კოტე გაბაშვილის ინიციატივით დანერგილი ენის დიპლომის DSD1 პროგრამა კვლავაც ძალაშია და დიდი წარმატებითაც ხორციელდება. ამ პროგრამის ჩარჩოებში ენას მოსწავლეებს გერმანელი და ქართველი სპეციალისტები ასწავლიან, სპეციალური ტესტირების გავლის შემდეგ კი ახალგაზრდები იღებენ დიპლომს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს გერმანიის სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ სწავლა.

21-ე სკოლა ქმედითად მონაწილეობს ინვალიდი ბავშვების ინკლუზიური სწავლების პროგრამაში. ცერებრალური დამბლით დაავადებული და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე გოგო-ბიჭები სრულიად თავისუფლად გრძნობენ თავს ჯანმრთელი თანატოლების გვერდით, ჩვეულებრივად, ხალისით ურთიერთობენ მათთან და იმავე პროგრამით სწავლობენ, როგორითაც დანარჩენი მოსწავლეები.

სკოლის ახალი დირექტორისა და განათლების საქმის მესვეურთა გაძლიერებული ყურადღებითა და ზრუნვით წახალისებულმა მოსწავლეებმა საკუთარი ინიციატივით მოამზადეს სკოლის ვებგვერდი, რომელსაც მალე განათავსებენ ინტერნეტის პროგრამაში. კიდევ ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელი, რომელიც ამ სკოლაში ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ წარმოჩინდა, არის მოსწავლეების დიდი სურვილი აქტიური მონაწილეობა მიიღონ გარდაქმნათა პროცესში, სკოლის ცხოვრების გამრავალფეროვნებაში.

–იცით, როგორი ატმოსფერო მინდა სუფევდეს ჩვენს სკოლაში? ისეთი, როგორიც ჩემი აქ სწავლის დროს იყო. ყოველთვის მომიხაროდა სკოლაში, ყველაზე დიდი სასჯელი კი ჩემთვის სკოლაში არგაშვება იყო და ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა მოსწავლეთა უდიდეს უმრავლესობას...

ყველას გვქონდა საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, ძირითადად ახალგაზრდა მასწავლებლები გვყავდა: მიხეილ მინდაძე, ვასილ მაღლაფერიძე, გია მურღულია, ნინო ფირცხალავა... მათთან საოცრად მეგობრულ, თავისუფალ ურთიერთობაში ჩვენ, მოსწავლეები, ზღვარს არასდროს გადავდიოდით. ყველაზე კარგად ჩემი



ცხოვრებიდან სწორედ სკოლის პერიოდი მახსოვს, საუკეთესო მეგობრებიც სკოლის მეგობრები არიან. – გვითხრა ქალბატონმა ნანამ ჩვენი შეხვედრის დასასრულს. მასთან საუბარმა და სკოლაში მიმდინარე პროცესების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ 21-ე სკოლა სულ მალე გახდება ისეთი, როგორზეც დირექტორი ოცნებობს. დღევანდელი შესაძლებლობებიდან, პერსპექტივებიდან და თავად ნანა ფიფიას პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე კი ალბათ ბევრად უკეთესიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფანტასტიკური მოთხრობა

## ვლადიმერ ბერიაშვილი




ვარსკვლავმფრენი „აგნი“ მეტაგალაქტიკის უშორესი დასახლებული პლანეტისაკენ მიემართებოდა. ტრაექტორია თითქოს ზუსტად იყო გამოთვლილი, მაგრამ ზედ შუა გზაზე გიგანტურ გალაქტიკას გადააწყდნენ. მის შემადგენლობაში ხუთასზე მეტი დიდ-პატარა გალაქტიკა შედიოდა. კატასტროფა მოხდა მაშინ, როცა ადამიანები ყველაზე ნაკლებად ელოდნენ – უკვე პერიფერიულ რაიონში იყვნენ გასულები.

...ზეახალის ანთება ვარსკვლავის აგონია, ევოლუციის ბოლო სტადიაა. ხოლო მისი შედეგი – თეთრი ჯუჯა ვარსკვლავის სიკვდილს ნიშნავს. ანთება ვარსკვლავის ბოლო, რამდენიმე ათეულათასგრადუსიანი ამოსუნთქვაა, რომლის შემდეგ საბოლოოდ იხშობა მისი ფილტვები. გული ერთხანს კიდევ ძგერს, მაგრამ სულ უფრო და უფრო სუსტად, ვიდრე ისიც არ გაჩერდება. ამ ბოლო ამოსუნთქვის წინასწარმეტყველება და, მით უმეტეს, მისგან თავის დაცვა კაცობრიობას ჯერჯერობით არ შეუძლია.

როდესაც ილუმინატორებში შავი კოსმოსის ნაცვლად დღის სინათლე შემოიჭრა, საკონტროლო პანელის დიდ ეკრანზე კი ერთ-ერთმა რიგითმა ვარსკვლავმა საჰაერო ბუშტივით იწყო გაბერვა, ხომალდის მეთაური მყისვე მიხვდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ადამიანის რეაქციას, თუნდაც კარგად ნავარჯიშევსაც, თავისი ზღვარი აქვს. სანამ ინფორმაცია ვარსკვლავიდან (სინათლის სიჩქარით) პილოტის თვალებამდე მოვიდა, სანამ ნერვული იმპულსი თვალებიდან ტვინს, იქიდან კი კუნთებს გადაეცა, რამდენიმე წამი გავიდა, და როცა მეთაურმა სამართავი პანელისკენ ხელი გაიწვდინა, მოსახდენი უკვე მომხდარიყო...

საბორტო კომპიუტერი ადამიანის ნერვულ იმპულსებზე სწრაფი აღმოჩნდა: მან გაცილებით უფრო ადრე „იგრძნო“ ხიფათის მოახლოება, ილუმინატორების სარქველები დახურა და ხომალდს გეზი უცვალა. ვარსკვლავმფრენის სიჩქარე ანთებული ვარსკვლავიდან გამოტყორცნილი ნივთიერების სიჩქარეზე მეტი იყო და ამან გადაარჩინა ეკიპაჟი. მაგრამ ტრაექტორიის შეცვლა, ინერციის კანონების თანახმად, მყისიერად შეუძლებელია, ამიტომ ზეახალის ცხელი სუნთქვა მაინც მისწვდა ხომალდს წამიერად...

სამეთაურო ნაკვეთურში ეკრანი ჩაქრა, ასტროექოლოტი დადუმდა – ხომალდი დაბრმავდა და დაყრუვდა. საბედნიეროდ, ძრავები კვლავინდებურად გამართულად მუშაობდნენ, არც ხომალდის სასიცოცხლო პირობები დარღვეულიყო.

კაბინაში აღელვებული ასტრონომი შემოიჭრა:

–ოპტიკური და რადიოტელესკოპები მწყობრიდან გამოვიდნენ!

ხომალდის მეთაური სპეცკავშირის ღილაკს დააწვა და მისი ხმა ყველა კაიუტასა და ნაკვეთურს მისწვდა:

–ყველას, ყველას! ლაპარაკობს ხომალდის მეთაური! ათი წუთის შემდეგ შეკრება მიბრძანებია! ვიმეორებ...

მალე ვახტისაგან თავისუფალი ეკიპაჟის ნაწილი დიდ დარბაზში შეიკრიბა. ყველას თვალი და ყური ექსპედიციის უფროსისა და ხომალდის მეთაურისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

–ჩვენ უიშვიათესი შემთხვევის – ზეახალის ანთების მოწმენი ვართ. ხომალდი კომპიუტერმა გადაარჩინა, – მეთაურმა მუჭში ჩაახველა – ჰერმეტულობა არ დარღვეულა, ასე რომ, ხომალდის შიგნით არაფერი გვემუქრება. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა ხდება გარეთ. წინასწარი მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზეახალის ტემპერატურამ გაადნო ანტენები და გარე სამყაროსგან იზოლირებული აღმოვჩნდით. და რაც ყველაზე უფრო სახიფათოა, ხომალდს აღარ იცავს ძალური ველი. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია კორპუსი, რა სიღრმეზეა იგი გამდნარი და მომავალში უნდა ველოდოთ თუ არა რაიმე გართულებებს. მდგომარეობა მძიმეა, – ხომალდის მეთაურმა ღრმად ამოისუნთქა, დარბაზს თვალი მოავლო. – მოკლედ, აუცილებელია კორპუსის ზედაპირის გამოკვლევა და რაც შეიძლება სწრაფად, ძალური ველის ანტენების აღდგენა. ეს - უპირველეს ყოვლისა...

–თუ კორპუსის ზედაპირი გამდნარია, – წამოდგა ხომალდის მთავარი ინჟინერი, – მაშინ ჯერ საჭირო იქნება შლიუზების ლიუკების გარემონტება, რომ ბრიგადებმა შეუფერხებლად შეძლონ კოსმოსში გასვლა.

ახლა ფიზიკოსი წამოდგა.

–კოსმოსში გასვლა დაუზვერავად არ შეიძლება. ჯერ არ ვიცით, რა სიურპრიზები მოგვიმზადა კიდევ ზეახალმა, მა-

გალითად – რადიოაქტიური გამოსხივება...

–ზეახალის გამოსხივება საშიში არ არის, – დაამშვიდა ხომალდის მეთაურმა, – ის სინათლის სიჩქარით ვრცელდება, ჩვენ კი..

–ეგ ხომ მეც ვიცი, – გაცხარდა ფიზიკოსი – მაგრამ რადგან ვარსკვლავიერი ნივთიერება უკვე მოგვაწვა და ნაწილობრივ კორპუსის გარსიც დააზიანა, რადიოაქტიური ელემენტები ლითონის სტრუქტურაში იქნება ჩანაცვლებული.

–რა მანძილზე ვართ ახლა ზეახალის აიროვანი ფრონტიდან? – იკითხა ექიმმა.

–ამის გამოთვლა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება: ოპტიკური და რადიოტელესკოპების კორპუსის ზედა კომპლექტი მწყობრიდანაა გამოსული, საბორტო კომპიუტერიც დამუნჯებულია, ერთი სიტყვით...

დარბაზში მყოფებმა ერთმანეთს გადახედეს. ეკიპაჟში მღელვარება მატულობდა, ბევრი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ.

ხელსაწყოებმა ვერავითარი გამოსხივება ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ კორპუსი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მზვერავებმა შლიუზიდან კოსმოსში მხოლოდ ლაზერის დახმარებით შეძლეს გასვლა. კორპუსის ზედაპირი ერთ მთლიან ალუფხულ მასად ქცეულიყო, ზეახალის სუნთქვას რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე გაედნო გარსი. მოლურჯო-მომწვანო ფერებად ბზინავდა სტრუქტურაშეცვლილი, ერთ დროს სპილოსძვლისფერი ლითონი. ყველა ლიუკი და სარქველი კორპუსს შედუღებოდა, ანტენებისა და გადამწოდების კვალიც არ ჩანდა. ტოტებშემოგლეჯილ, ნამეხარ მუხასავით იდგა ვარსკვლავმფრენის ცხვირზე ძალური ველის ანტენა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი აღდგენა იყო საჭირო.

ბრიგადები ყოველ ორ საათში იცვლებოდნენ. ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მთელმა ეკიპაჟმა მიიღო მონაწილეობა, განურჩევლად პროფესიისა და თანამდებობისა.

ყველაზე მეტი დრო კოსმოსში მთავარმა ინჟინერმა დაჰყო და პირველიც ის გარდაიცვალა. მას მიჰყვნენ ბორტინჟინრები, პილოტები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, კიბერნეტიკოსები... სიკვდილი უცნაურად მოდიოდა: ადამიანს რამდენიმე წუთში უშრებოდა სისხლი. გადასხმაც არ შველოდა, რადგან ძარღვები მაშინვე იკრავდნენ პირს და სითხეს აღარ ატარებდნენ. ყველაზე ნაკლები დრო კოსმოსში მთავარმა ექიმმა დაჰყო. მან ბიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი „წალკოტში“ გადაასვენა. მიწა მიაყარა და თავისთვის გათხრილ სამარეს მიუწვა გვერდით.

რობოტი ნიშს მოშორდა, დაიხარა, ექიმს ელექტროდები მოუფათურა ტანზე; მერე ფრთხილად ასწია, სამარეში ჩაუშვა, მიწა მიაყარა, თავის ნიშს დაუბრუნდა და გაირინდა.

ვარსკვლავმფრენზე ბავშვებიღა დარჩნენ...

მაგრამ არა, ბავშვები მთლად მარტო არ დარჩენილან – ფრენის პროგრამა ძველებურად მოქმედებდა, ვარსკვლავმფრენი დასახული მიზნისაკენ ელექტრონიკას მიჰყავდა. პროგრამა ხომალდის შინაგანაწესის განუხრელად შესრულებასაც ითვალისწინებდა. ავტომატები დაუღალავად მუშაობდნენ, – ბავშვებს არაფერი აკლდათ: კვება, სწავლა, გართობა, დასვენება, ძილი...

წლები გადიოდა.

რობოტები სწავლობდნენ ბავშვებს, მათ ხასიათს, სურვილებს, მიდრეკილებებს, მისწრაფებას, ინტერესებს. იზრდებოდნენ ახალი პილოტები, ინჟინრები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. მაგრამ კატასტროფამ მაინც დაამჩნია დაღი ადამიანების ცხოვრებას. არავინ იცის, მაგალითად, როდის, რა მომენტში გადაიკეტა სასწავლო პროგრამის ერთი არხი: ზეახალის მაგნიტურმა ველმა თუ დააზიანა იგი.

აი, რა ხდებოდა:

პროგრამა ჩაატარებდა, ვთქვათ, ფიზიკის გაკვეთილს. დგებოდა მომდევნო მეცადინეობის ჯერი. გაისმოდა ჩხაკუნი – „გადავიდეთ ისტორიაზე“, მაგრამ გავიდოდა სულ რაღაც ორიოდე წამი, აპარატი ისევ დაიჩხაკუნებდა და... „გადავი-



დეთ ქიმიაზე“. ასე რომ, პროგრამა თითქოს „გადაახტე-ბოდა“ისტორიას და პირდაპირ იწყებოდა ქიმიის გაკვეთილი. ეს მომენტი განსაკუთრებით ართობდა ბავშვებს. ვინმეს შე-ცდომა მოუვიდოდა და – „გადავიდა ისტორიაზე!“ ვინმე თა-მაშის წესებს დაარღვევდა და – „შენ რა, გადახვედი ისტო-რიაზე?..“ ჰოდა, ბავშვების მხიარული და უზრუნველი ხა-რხარი ჭერს აასკდებოდა ხოლმე. ბოლოს „გადავიდეთ ისტორიაზე“ პროგრამირების ერთ-ერთ შეცდომად მიიჩნიეს და ისტორია, როგორც საგანი საერთოდ ამოვარდა სწავლე-ბის პროცესიდან.

გაწყდა კავშირი თაობებს შორის...

წლები კი გადიოდა.

ბავშვებს უკვე თავიანთი ბავშვები ეყოლათ. გაჩნდა ახალი ტრადიციები, მაგრამ ვარსკვლავმფრენზე ორი რამ უცვლელი რჩებოდა: „გადავიდეთ ისტორიაზე“ და დამოკი-დებულება ნიშში ატუზული რობოტისადმი. გაჭირვებულ პა-ტარებს დედები აშინებდნენ: „დაიძინეთ, თორემ ახლავე მოვა „შავი რობი“, რქიანი და ჩლიქიანი, და წალკოტში წა-გიყვანსო“. მაგრამ პატარებს ასე ადვილად ვერ მოატყუებ. მათ იცოდნენ, რომ „შავ რობის“ არც რქები ჰქონდა და არც ჩლიქები, მხოლოდ მიცვალებულს მიასვენებდა ხოლმე „წალკოტში“, მაგრამ მისი მაინც ეშინოდათ. ეს შიში თა-ნდათანობით, თაობათა ცვლის კვალდაკვალ, სიძულვილში გადაიზარდა. ბოლოს პირქუში მესაფლავის დანახვაზე თმა-გათეთრებული პროფესორებიც კი განზე იხედებოდნენ ხო-ლმე და „ფუი ეშმაკსო“, ჩურჩულებდნენ...

ასე გრძელდებოდა, ვიდრე ერთი თვალებბრიალა, შუ-ბლმაღალი კნაჭა ბიჭი არ გაჩნდა.

პატარების ერთ ნაწილს „წალკოტში“ უყვარდა თამაში. აქ რამდენიმე ასეული პლასტმასის კუბი იდგა, სწორ მწკრივებად ჩარიგებული, ამას დაუმატეთ ბორცვები, ხეები, ბუჩქები... მოკლედ, სათამაშოდ იდეალური გარემო ჰქონდათ. თამაშს რომ მორჩებოდნენ, მესაფლავე ჩამოივლიდა, კუბებს შეასწორებდა, მტვერს გადასწმენდდა, ყვავილებს წყალს და-უსხამდა, ხანდახან ონავრები კუბებს ადგილებს შეუცვლი-დნენ და შემდეგ მოფარებულიდან უთვალთვალებდნენ „შავ რობის“. „რქიანსა და ჩლიქიანს“ არასოდეს არაფერი ეშლე-ბოდა, კუბებს თავ-თავის ადგილს მიუჩენდა და ნიშში ბრუ-ნდებოდა.

კუბებზე სახელი, გვარი, სპეციალობა და ორი თარიღი ეწერა. თვალებბრიალა ბიჭმა შეამჩნია, რომ შუა ორ რი-გში ბოლო რიცხვები ერთნაირი იყო. რატომ?! (აქვე გე-ტყვით, რომ „რატომ“ მისი მეორე „მე“ გახლდათ – ბიჭი კი არა, ცოცხალი კითხვის ნიშანი იყო).

–რატომ არის ბოლო რიცხვები ერთნაირი? – იკითხა-ვდა.

–იმიტომ, რომ ერთად დაიღუპნენ, – იღებდა პასუხს.

–რისგან?

–რაღაც უცნობი გამოსხივებისგან.

–საიდან გამოხტა ის უცნობი გამოსხივება?

–ზეახალიდან.

–როდის?

–ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ბიჭს არც ასეთი სიშორე აბნევდა:

–რა იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე?..

ფსიქორობოტმა ბავშვს ვერავითარი ფსიქიკური მოშლი-ლობა ვერ აღმოუჩინა, მაგრამ მშობლები მაინც შეშფოთე-ბულებ[illegible] იყვნენ: ბავშვი ისეთ შეკითხ[illegible]ბს იძლეოდა, რომ ამ კითხ[illegible]უხი არ არსებობდა, რ[illegible]დგან ის პასუხი თვით საბორტო კომპიუტერმაც კი არ იცოდა! მართლაც, ხომ არსებობს კითხვები, რომლებზეც შეუძლებელია პასუხის გა-ცემა?!

–ჩვენ ვიცით ჩვენი მისია, - მარშრუტის ბოლო პუნქტი, – დაჟინებით იმეორებდა დედა თუ მამა. – ვიცით, როგორ უნდა მივაღწიოთ მას. მაგრამ არსებობს კითხვები, რომლე-ბზედაც შეუძლებელია პასუხის გაცემა, მაგალითად: როგორ და რატომ ან რისთვის შეიქმნა სამყარო? რამ შექმნა ადა-მიანი, სად და რისთვის? როგორ შეიქმნა „აგნი“, ვინ შე-ქმნა და ა.შ. ან კი რა საჭიროა ამის ცოდნა?!

–რატომ? რატომ არაა საჭირო? დედა თუ მამა ამოიო-ხრებდა:

–გაიზრდები, ისწავლი და შენ თვითონ სინჯე ამ კითხვე-ბზე პასუხის გაცემა.

–აი, რობი ამბობს...

–რომელი რობი?!

–მმ.. წალკოტის...

–უი, მომიკვდეს თავი! – დედამ ლოყა ჩამოიხოკა, – რა გაქვს, ბიჭო საერთო იმ ჭუჭყიან ჯართთან?!

–საიდან წარმოვიშვით ჩვენ?

–ისევ დაიწყე? ჩვენ, ყველანი, ხომალდზე დავიბადეთ.

–ჩვენი... თქვენი მშობლები? აი, წალკოტში რომ...

–ისინიც.

–მათი მშობლები? რა არის, საერთოდ, ადამიანი?

–ადამიანი შედგება...

–ეგ ვიცი, რისგან შედგება. მე მაინტერესებს, სად გა-ჩნდა, როგორ, რატომ?

–არ ვიცი, შვილო, რას მეკითხები – დედას უილაჯო-ბისაგან ცრემლები მოერია, – სკოლის ზარია, წადი და ისწავლე..

...გადავიდეთ ისტორიაზე ჩხაკ... ხა-ხა-ხა-ხა! ჩხაკ. „გა-დავიდეთ... ქიმიაზე!“ – ყველაფერი ერთხელ დადგენილი წესით მიდიოდა.

–მაგრამ რატომ?

ეძებდა შუბლმაღალი კნაჭა. ძიებამ „შავ რობისთან“ მი-იყვანა. ჯერ სხვებივით სძულდა და ეშინოდა მისი. მერე მხოლოდ ეშინოდა. მერე... შიში გაურკვევლობამ იცის, გა-ურკვევლობა შეცნობის წყურვილს ბადებს. შიში იანუსივი-თაა, მას მეორე სახეც აქვს და ამ სახეს ცნობისმოყვარე-ობა ჰქვია. სწორედ მათ შორის მდებარეობს ეს აკვიატე-ბული კითხვა „რატომ?“

აედევნებოდა „ჭუჭყიან ჯართს“, უყურებდა, როგორ უვლიდა ბორცვებს. ერთხელაც გაბედა, ნაჭერი გამოართვა და თვითონ გადაწმინდა კუბები. რობის არც უკბენია და არც ურქენია. მან დიდი ხანია შეამჩნია შუბლმაღალი ჭი-ნკა ბიჭი. იგი სხვებს არ ჰგავდა. ნაჭერი მისცა, ერთად ჩა-მოიარეს რიგები. ერთგან ბიჭმა ხის გატეხილი ტოტი შე-ამჩნია, ნაჭერი ჩახია და ხეს საგულდაგულოდ აუხვია და-ჭრილი „კიდური“. მერე უცებ შეცბა, ნაჭრის დახევისათვის ხომ არ გამიწყრებაო, შიშით ახედა. რობიმ ნაჭერი მოხსნა ტოტს, რაღაც წებოვანი სითხე მოუსვა გადანატეხზე და ისევ აუხვია. ბიჭმა გაიცინა და ხელი გაუშვირა: მაჩვენეო. რობიმ ტუბი აჩვენა – ზედ მწვანე ფოთოლი ეხატა – თან ჩაიდუდუნა: „ოღონდ ხელი არ მოისვაროო, ძნელად ეცლება“. ბავშვებმა მალე შენიშნეს მათი დაახლოება. უკან დასდევდნენ, მაგრამ მიახლოებას ვერ ბედავდნენ. როგორც კი რობი მათკენ შემობრუნდებოდა, დამფრთხალი ტოროლე-ბივით შეიფრთქიალებდნენ და გარბოდნენ, მაგრამ ეს უფრო ტრადიციის ზეგავლენით ხდებოდა. შიში თანდათან მათაც

უქრებოდათ. რაკი „დლისით“ რობისთან მარტო ვერ რჩებოდა, ბიჭმა სინათლის გამორთვის შემდეგ მოუხშირა მასთან სიარულს, მაშინ, როცა სხვებს ეძინათ.

—საიდან წარმოვიშვით ჩვენ?

—თქვენ ყველანი, ამ ხომალდზე იშვით.

—ჩვენი მშობლები?

—ისინიც.

—წალკოტში, შუა რიგში რომ არიან დაკრძალულნი, ისინიც?

—ისინიც.

ბიჭი ჩაფიქრდა.

—შენ?

—მე არ დავბადებულვარ. იბადება მხოლოდ ადამიანი, რობოტი კი იქმნება. მე ადამიანებმა შემქმნეს დედამიწაზე.

—დედამიწაზე? — ეს რაღაც ახალი სიტყვა იყო, აქამდე გაუგონარი, გაუგებარი, მაგრამ რატომღაც თბილი და რბილი. — რა არის დედამიწა? სად არის დედამიწა? ვინ არიან დედამიწის ადამიანები?

—შენი წინაპრები.

კიდევ ახალი სიტყვა! რაღაც უსაშველოდ გრძელი, უსაშველოდ ძველი, უსაშველოდ ღრმა... ბიჭს გული დაუწურა ამ სიტყვამ, დიდრონი თვალები ერთიორად გაუდიდდა, საფეთქელზე მაღლემა იწყო ძალუმად ფეთქვა.

—ვინ არიან წინაპრები?

—წინაპრები არიან ისინი, ვინც „აგნი“ შექმნა, ვინც ჩვენ აქ გამოგვგზავნა. ისინი დედამიწაზე დარჩნენ, ჩვენს სამშობლოში.

—სამშობლოში... — ეს სიტყვა ხავერდივით იყო, რბილი ბუსუსები ჰქონდა, შეგეძლო, შიგ თავით ფეხებამდე გახვეულიყავი; საამური სუნი უდიოდა. — სამშობლოში?

—ბიჭო, შენ სკოლაში არ სწავლობ? მეგონა, ყველაზე ჭკვიანი იყავი, ამდენს რას მეკითხები?! წადი და ისტორია ისწავლე, როგორც წესია! — რობი გაბრაზდა, ზარმაც ბავშვებს ვერ იტანდა. — მაშინ ყველაფერს შეიტყობ!

—შენც დამცინი?! რა არის ისტორია?! ჩხაკ! „გადავიდეთ ქიმიაზე“, აი, მთელი შენი ისტორია!

რობოტი დაიხარა, მერე მუხლებზე დაეშვა, ბავშვს სახეში შეაცქერდა.

ბიჭს მაღალ შუბლზე ღარები გასჩენოდა, მისი ცრემლიანი თვალებიდან მთელი სამყაროს გონიერება იყურებდა...

ვახტზე კი არ დარჩენილა არავინ — აუდიტორიაში შეიკრიბა ყველა. თანდათანობით სწორდებოდნენ მხრებში, სუსხიან თვალებში მზის სითბო ელვრებოდათ, გლუვ მარმარილოსვით გადალესილ შუბლზე ღრმა ნაოჭები უჩნდებოდათ — ადამიანებად იქცეოდნენ.

მართვის ცენტრში განგაში გამოცხადდა. დიდი ხანია რაც დედამიწელთა ექსპედიციას ელიან, და აჰა... მაგრამ ნუთუ ხომალდზე აღარავინ დარჩა ცოცხალი?

—ყურადღება, ყურადღება! გვიახლოვდება უმართავი ვარსკვლავმფრენი! მოამზადეთ მაგნიტური დამჭერები! გადაიყვანეთ სტაციონარულ ორბიტაზე!

ცენტრის უფროსი ეკრანს მიეყინა მზერით. უჩვეულო კონტურებიანი ხომალდი სიჩქარეს უკლებდა. ჰიპერბოლური ორბიტიდან იგი თანდათანობით სტაციონარულ ორბიტაზე გადაიყვანეს. ცენტრის უფროსმა შვებით ამოისუნთქა — ვარსკვლავმფრენს აღარაფერი ემუქრებოდა.

—ცენტრი, მთავარი სადისპეტჩერო! უცნობ ხომალდს ძლიერი გამოსხივება აქვს. იქნებ თანამგზავრზე გაგვეშვა...

—ჩაუტარეთ დეზინფექცია და პლანეტაზე დასვით, მთავარ კოსმოდრომზე. ბოლოს და ბოლოს სტუმრები არიან, ამდენი ხანია ველოდებით.

—გასაგებია.

—ან გამოსხივებამ იმსხვერპლა ყველა, ან სულაც ავტომატური სადგურია, — გადაულაპარაკა ცენტრის უფროსმა ლინგვისტს.

—არა მგონია, ავტომატური სადგური ამ სიშორეს ვერ მიაღწევდა. მაგრამ პირველი ვარიანტი უფრო არასასურველია. ამდენი ლოდინი, მილიონი სინათლის წელიწადი და... მარტო იმისათვის, რომ მაგნიტური კასეტები და ჰოლოგრამები მოიტანოს?..

—და მიცვალებულებივით სავსე სკივრები... — დაამთავრა ლინგვისტის აზრი ბიოლოგმა ნაღვლიანი ხმით.

—ცენტრს, მთავარ სადისპეტჩეროს ვუხმობ! ხაზზეა ხომალდის საბორტო კომპიუტერი! ვრთავთ პირდაპირ კავშირს!

მართვის ცენტრის მთავარ საოპერატოროში ნემსი არ ჩავარდებოდა, მაგრამ ბუზის ფრენის ხმას გაიგონებდით.

„...პროგრამის ხარვეზი მესაფლავე-რობოტმა აღმოაჩინა... თურმე ზეახალთან გასვლისას სასწავლო პროგრამაში ისტორიის არხი გადაკეტილია... ეკიპაჟი დანაკარგს ინაზღაურებს..“

კოსმოდრომის ბეტონზე რბილად



დაეშვა „აგნი“ ძრავებიდან გადმოვარდნილი ალი ნელ-ნელა დადნა, დაილია. გავარვარებული ლითონი გაგრილდა. მთავარი ლიუკი კი არ იღებოდა — არავინ აპირებდა გამოსვლას.

—რაღას ველოდებით?! წავიდეთ, მივეხმაროთ, ჩვენ გავაღოთ, იქნებ... — ლინგვისტი წამოხტა, სახე ალეწოდა, აღელვებისაგან ერთიანად ცახცახებდა.

ცენტრის უფროსმა რაცია გამორთო, სავარძელზე გადაწვა, თვალები დახუჭა.

—აცალეთ, ჯერ თავიანთი თავი იპოვონ!.

# შორი გზა

ისევ გათენდა... თვალები გავახილე, მაგრამ მე არ ვწევარ, ისევ მივდივარ, თუმცა გაჩერება მინდა. ირგვლივ სიჩუმეა და ეს გულს მიკლავს, ვცდილობ გავჩერდე, მაგრამ უშედეგოდ. დრო თავისას შვრება, წინ მიიწევს, თვალებს ძალას ვატან და ვცდილობ წინ გავიხედო, მაგრამ არაფერი ჩანს, ირგვლივ არავინაა. მე ვფიქრობ, რომ ჩემ გარშემო არავინ არის. შორს, სადღაც შორს ვარდისფერი ნისლი მოჩანს. მიხარია, რადგან მგონია, რომ იქ მაინც ვიპოვნი ვინმეს, თანდათან ვუახლოვდები, ანაზდად რაღაც ხმა მომესმა და ჩემ თვალწინ უამრავი ადამიანი წარდგა, ყველას ვუღიმი, მაგრამ ისინი ვერც კი მამჩნევენ. თოვლის ფიფქები სახეზე მეცემა და მასველებს. ვეღარ ვარჩევ თოვლია თუ ჩემი ცრემლები. გზას ვაგრძელებ, აი უკვე დაღამდა. დასვენება მინდა, მაგრამ გზა არ ილევა. ვხვდები, რომ ვეღარ ავიტან კიდევ ერთ ღამეს, მარტოობით გაჟღენთილ ღამეს, ჩემი კვლავ არავის ესმის, გზა კი გრძელდება. მივდივარ, ვერ ვჩერდები, თუმცა უკან მინდა დაბრუნება, მაგრამ ვერ ვბედავ. ვხვდები, რომ უკვე ძალიან შორს შევტოპე, მინდა ერთი წამით მაინც შევჩერდე და დავისვენო, მაგრამ დროს სად გავექცევი, სად დავემალები, როცა მკერდში თანაზომიერად ტიკტიკებს საათი, ჩემი სახე კი ისრებმომტვრეული ციფერბლატია?! დაღამდა... ისევ თოვს, მე კი ისევ მარტო ვარ და ისევ მივდივარ, გზა აღარ ილევა... ჟრიამულის ხმა სასიამოვნო ჰანგებად ჩამესმის და თან ცრემლები მომდის, რადგან მიუხედავად ხალხის სიმრავლისა, ჩემ გვერდით არავინ არის. ისევ შორი გზა, ისევ მარტოობა და ისევ თოვლი. შორს ვიყურები, მზერას ვძაბავ, თითქოს სინათლე გამოჩნდა, გული სიხარულით მევსება, რადგან სინათლე მხედავს და მიახლოვდება... აი, ხელიც შემეხო. თვალებს ვხუჭავ, რათა ბედნიერება შევიგრძნო... უცებ ისევ ტკივილს ვგრძნობ, თვალებს ვახელ, მაგრამ სინათლე აღარსად ჩანს. ისევ ცრემლები მომდის? არა, ეს სიხარულის ცრემლებია. მიხარია, რადგან დავრწმუნდი, რომ ეს სინათლე არსებობდა, ღმერთმა გამომიგზავნა... მიხარია, რადგან ის სამუდამოდ დარჩება ჩემში...

**თიკო ვარამაშვილი**, ქ. რუსთავი,
სკოლა „ნაკადული"

## გაზაფხული



ჩვენ ძალიან გაგვიხარდა,
რომ მოვიდა გაზაფხული,
ვიცოდით, რომ აყვავდება
მინდვრის ყვავილები.
და ეს ცოდნა გამოგვადგა,
რომ ვისწავლოთ კარგად,
ჩვენ ძალიან გვიყვარს
სწავლა,
ზარმაცები არ ვართ.

**ნანუკა ზაუტაშვილი**, ქ. თბილისის მიგელ დე სერვანტესის სახ. სკოლა-ლიცეუმი, II კლასი

## დროთა ტრიალი



წელიწადის ოთხ
ლამაზ დროს
იცით რა გადახდენია?
მოგიყვებით რაც კი ვიცი,
რაც კი ჩემს ყურს
მოსწვდენია.
ზურმუხტი და მარგალიტი
გაზაფხულს უჩუქებია,
ზაფხულს ლალად უქცევია,
შემოდგომას ქარვის მძივი
ქარიანში შესწყვეტია.
ზამთარს ბოლმა არ სჩვევია,
ბრილიანტი დაჰფენია,
დრო კვლავ დატრიალებულა
წელიწადს ეს არ სწყენია.

## იესო

გამობრწყინდა ვარსკვლავი,
მოგვევლინა იესო,
მანათობლად, მხსნელად
კეთილმა მიიღო თბილად.
ბოროტმა კი სცნო მტრად,
ბევრი ავი განდევნა,
ყველა სნეულს არჩენდა,
სადაც კი მიდიოდა,
სასწაულებს ახდენდა.
ღმერთის ძე დიდებული,
ყველა საქმით ქებული,
კაცთა ცოდვების მხსნელი,
ჩვენთვის დაბადებული.

**გიორგი ცუხიშვილი**,
საჩხერის რაიონი, სოფ.
ჩიხის საშუალო სკოლა, III კლასი



# მსოფლიო კიდით კიდემდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩინეთი

### ცირკში მხოლოდ ბავშვები არიან

მსოფლიოში ცნობილ ჩინურ ცირკში თითქმის ყველა ნომერს მოზარდები ასრულებენ. ეს გოგონაც, რომელიც ჩინეთის შორეულ მთიანეთში მცხოვრები



ხალხის – მაიოს წარმომადგენელია, საცირკო ხელოვნების ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა გაუნჯოს პროვინციაში, მან ფეხშიშველმა ისე გაიარა რკინის ღობის ბასრ, ალესილ ძელებზე, რომ წვეთი სისხლიც არ გამოსვლია. მსგავსი თავბრუდამხვევი ტრიუკების შესრულებას ნორჩი მსახიობები სამი წლის ასაკიდან იწყებენ.

## აშშ

### აცტეკური ტრადიციების ერთგულება

ძველ აცტეკებს მიაჩნდათ, რომ ადამიანი, რომელიც 15 წლის ასაკს მიაღწევს, ბავშვობას ემშვიდობება და ზრადსრული ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას. ლათინურ ამერიკაში დღემდე შემორჩა გოგონების მე-15 დაბადების დღის „კინსიანიერას" განსაკუთრებულად აღნიშვნის ტრადიცია. ეს რიტუალი ძალიან ჰგავს ქორწილს. როზი კარუსის მშობლები სამხრეთ ამერიკიდან არიან და თუმცა ოჯახი დიდი ხანია აშშ-ს ოჰაიოს შტატში ცხოვრობს, წინაპრების ტრადიციას არც აქ ღალატობენ. როზისთვის სადღესასწაულო კაბა მექსიკიდან გამოიწერეს, დაქირავებულ რესტორანში გამართულ ვახშამზე 200 სტუმარი იყო მიწვეული. დილით როზი 7 ბიჭისა და 7 გოგონას თანხლებით ეკლესიაში იყო, მერე კი სტუმრებთან გამოცხადდა. მას შემდეგ, რაც ბავშვობასთან გამოთხოვების სიმბოლო – თოჯინა აჩუქეს, როზიმ კავალერი აირჩია და მასთან ერთად იცეკვა ვალსი.

## გვატემალა

### ქურდი მოზარდები საჯაროდ გაროზგეს

სკოლიდან კომპიუტერის მოპარვის მცდელობისათვის ოთხი მოსწავლე საჯაროდ გაროზგეს. მათ ჯერ ხელები გაუკრეს და აიძულეს, მუხლისჩოქით



ევლოთ ქალაქის ქუჩებში. ამ დამცირების შემდეგ სამართალდამრღვევების მშობლებმა მთავარი განაჩენი თავად მოიყვანეს სისრულეში. შვილებს ცამეტი როზგი დაჰკრეს.

ქალაქის მთავარ მოედანზე გამართულ ეგზეკუციას ათასობით ადგილობრივი მცხოვრები ადევნებდა თვალს. მოზარდებს ერთი კვირით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა მიუსაჯეს. ქალაქის ხელისუფლებას და მშობლებს მიაჩნიათ, რომ ეს სასჯელი მოზარდებს სიცოცხლის ბოლომდე დაამახსოვრდებათ.

## რუსეთი

### პონის მეგობრები



მოსკოვის საცხენოსნო-სპორტულ კომპლექსში უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის პონი-კლუბი „ბიტცა" მოქმედებს. პატარები ჯერ პონების ხასიათსა და ჩვევებს ეცნობიან და მერე ირჩევენ მათგან სათაყვანოს. ამის შემდეგ გამოცდილი მწვრთნელები მათ უნაგირზე ჯდომასა და მინიცხენის მოვლას ასწავლიან. პონის შეკაზმვა ექვსი წლის ბავშვებსაც შეუძლიათ, მისი სიმაღლე ხომ 148 სანტიმეტრს არ აღემატება. პატარა მხედრები თანდათან ეუფლებიან ცხენოსნობის ხელოვნებას და მერე აღარც დიდ ცხენზე გადაჯდომა უჭირთ.

# რატომ ვამბობთ ასე?

**ნუგზარ ერისთავის დროსაო – სისხლის წვიმების დროსაო,** – ქვეყნის საერთო უბედურების, ხალხის უსაზღვრო ტანჯვა-წვალების დროს.

ნუგზარი იყო არაგვისა და მთიულეთის ერისთავი (XVII ს.), გიორგი სააკაძის სიმამრი. მან მოიწადინა არაგვის ხეობაში მცხოვრები მონობასა და ყმობას უჩვევი ფშავ-ხევსურების დამორჩილება-დაქვემდებარება. გაიმართა სასტიკი ბრძოლა, უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა. მთიელებმა დამოუკიდებლობისთვის თავი გამოიდეს, დაიღვარა უზომო სისხლი. ხალხმა ამ ორსტრიქონიანი ლექსით გამოხატა ის უბედურება, რაც ნუგზარ ერისთავმა დაატეხა თავს.

**მოკალოვება** – სუფთად მოწმენდა, მოცარიელება, ზედაპირზე არაფრის დატოვება.

პურის სალეწი კალო ძალიან უნდა ყოფილიყო მოსუფთავებული, მოსწორებული, არსად არ უნდა იყოს მარცვლებისა და ნამჯის ჩასაცვენი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო გალეწილი ბზისა და ხვავის არნადით დაუბრკოლებლივ მოხვეტა. ერთი სიტყვით, კარგად უნდა ყოფილიყო მოკალოვებული.

**მეცამეტე გოჭი** – მეტიჩარა, არამკითხე მოამბე.

ღორს ლუწი რაოდენობის ძუძუები აქვს, არანაკლებ ათისა ან რვისა, კარგ ჯიშიანს კი 12 ძუძუც აქვს ხოლმე. დედაღორს იმდენი გოჭის გაზრდა შეუძლია, რამდენი ძუძუც აქვს, შესაბამისად გოჭების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ძუძუთა რაოდენობას და ამდენად მეცამეტე გოჭი უკვე ზედმეტია და თუ ხელოვნურად არ ვასაზრდოებთ ვერ იცოცხლებს. აქედან ხატოვანი გამოთქმა „მეცამეტე გოჭი“ იხმარება იმ ადამიანის მიმართ, ვინც მეტიჩარა, უმაქნისია, სხვის საქმეში ეჩრება.

**მომწვანილება** – მობეზრება, გულის აცრუება.

ეს გამოთქმა იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც ადამიანს ახალშემოსული მწვანილივით ვინმე ან რამე მოსწონს, მაგრამ მერე ჟამგადასული მწვანილივით მობეზრდება, გულს აიყრის მასზე ანუ მოიმწვანილებს.

მგლის ყურის გამობმა – წაყრუება, თავის ისე მოჩვენება, თითქოს არაფერი გესმის, რაც შენ გარშემო ხდება. მგელმა ყურის მოყრუება იცის, მიძუნძულებს და ზედაც არ უყურებს ძაღლს, რომელიც ყეფით მისდევს უკან. მგლის ყური გამობმიაო, ხატოვნად იტყვიან ისეთ ადამიანზე, ვისაც კარგად ესმის, რასაც ეუბნებიან, მაგრამ რაკი მისთვის სახეირო არ არის, თავი ისე უჩირავს, თითქოს ყურში არაფერი ესმოდეს.

## სიტყვის კონა



**დოღრიალა** – ვინც საიდუმლოს შენახვა არ იცის. ღრიალა, მყვირალა.

**დორანი** – მყუდრო ადგილი წყალში, სადაც თევზები თავმოყრილი არიან.

**თქორი** – წვრილი წვიმა.

**ლაზი** – მოხარშული საჭმლის (ლობიოს, კორკოტის) სქელი წვენი.

**ლეყევო** – დამდგარი წყლის ზედაპირზე მოყენებული მწვანე ლორწოვანი მასა.

**ლია** – ლამი, საფლობი ტალახი.

**ლურთი** – ძალიან მსუქანი ხორცი.

**ლილო** – ალაგ-ალაგ გამდნარი თოვლი

**თეჯმარა** – სოფლის შარაგზა

**თავზიანი** – ყოჩაღი, მარჯვე

**ჭარა** – დაბერებული თხა

**ჭარცლი** – ხის მოგრძო და ღრმა ჭურჭელი ცომის მოსაზელად

**პირლნიოთი** – ყბედი, ლაქლაქა

# ერთი თქვენგანი

# 10 წლის მოგზაური გიორგი ბართაია



მარცხნიდან: მერაბ ბართაია
გიორგი ბართაია
ანზორ ქავთარაშვილი

გიორგი ბართაია რუსთავის №23 საშუალო სკოლის IVა კლასის მოსწავლეა. ჰყავს მშობლები, ერთი და და ორი ძმა. შარშანდლამდე პატარა გიორგი არაფრით გამოირჩეოდა არც დედმამიშვილებისგან და არც თანატოლებისგან, დღეს კი ის უკვე პატარა მოგზაურის სახელით არის ცნობილი, რომელმაც ფეხით 2126 კმ გაიარა. ყველაფერი კი ასე დაიწყო, გიორგის მამა, მერაბ ბართაია, ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცი, აფხაზეთში ქართული მიწა-წყლის დასაცავად მაშინ წავიდა, როცა მშობლიური მიწის ყივილი შემოესმა. ღირსეული ადამიანების, ღვაწლმოსილი მეტალურგების, ზურაბ და ეთერ ბართაიების შვილი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. სამშობლოს ერთიანობისთვის მებრძოლი ახალგაზრდა ამპუტირებული ტერფით და თავის ქალის მრავლობითი დაზიანებით დაბრუნდა შინ, მაგრამ არ შემდრკალა, უფრო მეტიც, ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა გადაწყვიტა და განიზრახა, წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით ვეტერან მეგობართან, მალხაზ გაურგაშვილთან (იგივე ანზორ ქავთარაშვილთან) და თავის შვილთან, გიორგისთან ერთად ფეხით შემოევლო მთელი საქართველო, შეხვედროდა ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ესაუბრა ვეტერანთა, დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრთა პრობლემებზე, გაეცნო და დაეთვალიერებინა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილები. პროექტი სამ ეტაპად განხორციელდა – I წრე ქვემო ქართლის რაიონს მოიცავდა – თეთრი წყარო, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, II წრეში გეზი საგარეჯოს მიმართულებით აიღეს, გაიარეს გურჯაანი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ზემო ქედი, წნორი, ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, დუშეთი, მცხეთა, ხოლო III წრეში – კასპი, გორი, ცხინვალი, აგარა, საჩხერე, ჭიათურა,ზესტაფონი, მარტვილი, წალენჯიხა, ჯვარი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქობულეთი, ბათუმი, ხულო, ახალციხე, ნინოწმინდა, წალკა, მანგლისი, დიდგორი და თბილისის გავლით რუსთავში დაბრუნდნენ.



მოგზაურობაში პატარა გიორგის მონაწილეობის საკითხი სათუოდ არც დედას გაუხდია და არც თავად მას. როგორც კი მამამ ჩანაფიქრი გაამჟღავნა, ბიჭი სიხარულით დაეთანხმა, თუმცა ერთი პირობა გულში შიში გაუკრთა, მაგრამ როგორც კი გზას დაადგნენ, შიშიც გაუქრა და ინტერესიც გაუორკეცდა. სკოლაში კი კლასის ხელმძღვანელიც (რუსუდან ნოდია), დირექტორიც (სვეტა მიქელაშვილი) და თანაკლასელებიც აღტაცებით შეხვდნენ გიორგის მამის გადაწყვეტილებას და ზეიმითა და ოვაციებით დაულოცეს მამა-შვილს გზა.

–ძალიან მიხაროდა, – ამბობს გიორგი – თუმცა, ცოტა მეშინოდა კიდეც, მაგრამ როცა გზას დავადექით, შიშიც გამიქრა და ინტერესიც გამიძლიერდა. დღეში დაახლოებით 20 კმ-ს გავდიოდით, ღამით კარვებში გვეძინა. სასიამოვნო იყო ბუნებაში ყოფნა, უჩვეულო თავისუფლებას ვგრძნობდი. ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდით, ბევრი რამ ვნახეთ, მაგრამ გული მწყდება, აფხაზეთში და სამაჩაბლოში რომ არ შეგვიშვეს. მომავალში მამას გეგმაში აქვს მთელი მსოფლიო ეტაპობრივად შემოიაროს და მეც წამიყვანოს. მამა ამბობს, თუ ხელშეწყობა გვექნება, ჩანაფიქრს განვახორციელებთო. ვნახოთ. ახლა კი მოგზაურთა ჯგუფის სახელით და მამას ნებართვით, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც დაგვეხმარა, – პროგრამის ხელმძღვანელს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს, მხარდამჭერებს, საქართველოს ეროვნული გვარდიის სამმართველოს, კომპანია PSP-ს, სადაზღვევო კომპანია „იმედი L"-ს, საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობ კავშირ „გიორგის" და მის ხელმძღვანელს ბატონ გვანჯი მანიას, საბავშვო ჟურნალ „დილას" და საქართველოს ყველა მცხოვრებს, ვინც დაგვეხმარა და თანადგომა გამოგვიცხადა.

მოუთმენლად ველი, როდის შევძლებთ მოგზაურობის განახლებას, ჯერ ხომ მთელი საქართველო არ დაგვივლია...

**მანანა მაილაშვილი**



# წიგნის მარგალიტები

## გიორგი შატბერაშვილი
(1910-1966)

### იბერის ლექსი

ოდეს მამაცი იბერი,
ცისა და ქვეყნის ასაკის,
ლაღი და თვალებცისფერი,
მცხეთის მახლობლად დავსახლდი;
წელს ხმალი მერტყა ხალიბის,
ხელში გუთანი მეჭირა,
ქვის ტახტზე ვიწექ ყარიბი,
ვარსკვლავების ქვეშ მეძინა.
ნათელ თუ წყვდიად ღამეში
უღრანში ვჩეხდი ახოებს,
ხარი მყავდა და კამეჩი,
ვეძებდი საბალახოებს.
მივდექ, დასისხლულ თითებით,
მცხეთას ავაგე ტაძარი,
გაღმამთას ჯვარი შევაბი,
არმაზს ვაფრქვიე ნაცარი...
ოდითგან თრობის მომგონი
და მოყვარული სინათლის,
ურჩი არაბის, მონგოლის,
პარტახში ვაზებს ვწინდავდი.
ვახარე შავფხა თავთუხი,
კაჟით მოვხატე კევრები,
რთველობას ვაჟურად დავდუღდი,
ტკბილით დავავსე ქვევრები...
და აი, რასაც ვნატრობდი:
ღვინო და პური მახობლის,
მოდით, მსურველო დათრობის,
სიყვარულის და ლაღობის.
მოდით, ჰქუხს ქვევრი თავლია,
თაღარში ბორგავს მაჭარი,
ვაჰ, თუ მოვტყუვდი, ჭმახია
ნამცვრევი და ნაჭაჭარი,
მოგაწვდით, არ დაგაძალებთ,
გულს ნაპერწკალი აღინთეთ,
თუ გეწამებათ, აცალეთ –
დავაჟკაცდეს და დაღვინდეს!
თუ თქვენმა გულმა შეირგო
ნაჟური ჩემი ვაზების,
უმალ ალავერდს გადმოვალ
საალავერდო თასებით.

## ალეკო შენგელია
(1914-1975)

### ანდერძი

იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ,
იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ცისფერ თვალებს,
ვფიცავ მიწას, ვაჟას გულზე დაყრილ მიწას,
რიჟრაჟს ვფიცავ, ნისლებში რომ იფერმკრთალებს;
თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს ცადასროლილს
წაეპარა ყორნისფერი ღამე მძიმედ, –
ამოვწვადო ხმალი ელვით ანაჟრჟოლი,
ვარსკვლავებით მოხატული, მოციმციმე.
თუ დავეცე, ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.
გული დამაქვს სიყვარულის განახელი,
მყვარებია... ჰო, ცრემლებიც მყვარებია;
ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი,
ხანჯალივით გულში გამიტარებია.
გაღიმებაც შემიძლია აპრილისა,
ხარირემის ვაჟკაცური დაძახილიც...
–შენი ლექსი ქედმაღლურად გაჰყვირისო, –
მეტყვის ვინმე, სტრიქონებზე თავდახრილი.
–თაობა ვარ, ავთანდილის გაწაფული,
სიყვარული უბით დამიტარებია,
ჩემი თეთრი, ცისარტყელა, გაზაფხული,
თებერვალში აპრილს დამიდარებია...
დავიღუპო!.. ნუ მიტირებთ დანანებით..
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი...
ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები.

# გიწვევთ ფრანების ფესტივალზე

ჩვენ, „ნაკადულის" რედაქციამ და საქართველოს ბავშვთა საერთაშორისო ფონდმა „ვუნდერკინდი", გადავწყვიტეთ ჩავატაროთ ჩვენს ქვეყანაში პირველი ფრანების ფესტივალი. ეს ლამაზი ფესტივალი ზაფხულში, სავარაუდოდ ივნისში გაიმართება. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ფრანის გასაშვებად შესაბამისი ამინდი, ნიავქარია საჭირო. ფესტივალის გამართვის ზუსტი თარიღი სულ მალე დაზუსტდება, თქვენ კი დროს ნუ დაკარგავთ და ამასობაში მოდელების დამზადებას მოჰკიდეთ ხელი, ახლავე ემზადეთ ფრანების აღლუმისთვის, „ნაკადულის" ამ ნომერში გთავაზობთ რამდენიმე მოდელის ნიმუშს, ჟურნალის მომდევნო ნომრებში კი კიდევ რამდენიმე უფრო რთული მოდელის დამზადებას გასწავლით.

მაშ ასე, გიწვევთ საქართველოში პირველი ფრანების ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. გარდა იმ დიდი სიამოვნებისა, მარტო ჰაერში აჭრილი საკუთარი ნახელავი ფრანის ფრენა რომ მოჰგვრის ყოველ თქვენგანს, საუკეთესო მოდელების ავტორებს ჯილდოებიც ელის.



დააკვირდით ნახატს, მასზე ურჩხულის ასაგებად საჭირო თითქმის ყველა დეტალია მოცემული.

განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთი მათგანი მოითხოვს. 1,5 მმ. სისქისა და 254 მმ. დიამეტრის მქონე ბამბუკის რგოლები, მათზე გადაკრული თხელი ქაღალდით, უნდა იყოს რაც შეიძლება მსუბუქი, თანაც უნდა დამზადდეს ზედმიწევნითი სიზუსტისა და წონასწორობის დაცვით (ბამბუკის ღეროებთან ერთად). ბამბუკის ღეროებზე დამაგრებული პაწია ალმები წონასწორობას იცავენ.

ურჩხულის თავი უნდა გამოიჭრას თხელი ფირფიცრისაგან და გამაგრდეს უკანა მხრიდან სამი გარდიგარდმო ძელაკით. შემდეგ კი უკვე გამზადებული თავი, საბუქსირო თოკზე „აღვირით" გამოებას ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები.

თავდაპირველად ფრანი, ე.ი. ურჩხულის ტანი, 10-12 რგოლისაგან კეთდება, შემდეგ კი ემატება თანდათანობით შემცირებული დიამეტრის მქონე რგოლები მანამ, სანამ ურჩხულის სხეული სასურველ სიგრძეს არ მიაღწევს.

ფრანის შეუფერხებელ აფრენას ხელს უწყობს არა მარტო სიზუსტის დაცვა, მისი ერთ-ერთი ხელშემწყობია აგრეთვე საბუქსირო თოკსახვევი კოჭის ხარისხიც. თოკსახვევი კოჭის ტარი უნდა გამოიჭრას სქელი ფირფიცრისაგან ან თხელი ფიცრისაგან. ტარის ორკაპზე ორი პაწია თუნუქის ნაჭრით მაგრდება ტარიანი ფოლადის ღერძი. ღერძზე ბრუნავს თხელი ფანერის ცილინდრის ფორმის დოლურა, რომელზეც ეხვევა საბუქსირო თოკი. კოჭის ერთ-ერთ მხარეს დამაგრებული ორი სამუხრუჭო შვერილი საბუქსირო თოკის სწრაფად გაჩერებისთვისაა გამიზნული.

საკმარისია ავუშვათ მუხრუჭი, რომელიც მზადდება თითბრის ან სხვა შესაფერისი ლითონებისაგან და მაგრდება ტარზე ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები, რომ ზამბარა სწრაფად მოზიდავს მას და მიაბჯენს კოჭს. საბუქსირო ორკაპის ტარის ზომა დამოკიდებულია თვით საბუქსირო თოკის სიგრძეზე.

ეს არის და ეს. ასე მზადდება ურჩხული-ფრანი.









ეროვნული ბიბლიოთეკა

## იცოდით, რომ...

# ძაღლებიც იცინიან?



თქვენც ხომ გქონიათ ისეთი შეგრძნება, თითქოს საკუთარი ძაღლი დაგცინით? უახლესმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ეს სავსებით შესაძლებელია! დიახ, დიახ, ის ფრუტუნი თუ ქშინვა, ჩვენი ოთხფეხა მეგობარი რომ გამოსცემს ხოლმე დროდადრო, თურმე სიცილი ყოფილა და სხვა არაფერი

დააკვირდით ამ ფოტოებს და თავად დარწმუნდებით, რომ ძაღლებიც იცინიან.











# ვინ არის რაინდი?



ფეოდალიზმის ეპოქაში რაინდები ერქვათ სამხედრო-თავადაზნაურული წოდების პირებს, მძიმედ აღჭურვილ მხედრებს. რაინდისთვის აუცილებლად ითვლებოდა მორალური ნორმები: სიმამაცე, მოვალეობის ერთგულება, ქალისადმი კეთილშობილური დამოკიდებულება. დროთა განმავლობაში კი სიტყვამ გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და მცნება „რაინდი" დღესაც უაღრესად პატიოსან, კეთილშობილ, დიდსულოვან ადამიანთან, უშიშარ, გმირ მებრძოლთან არის გაიგივებული. ჩვენ, ქართველები, ამ თვისებებით შემკულ ადამიანს ვაჟკაცსაც, კაი ყმასაც ვუწოდებთ.

რაინდობის აყვავების ხანა XII–XIV საუკუნეები იყო. XV-XVI საუკუნეებში მუდმივმოქმედი ჯარის გაჩენასთან და ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებასთან ერთად რაინდთა საომარი როლი დაკნინდა.

XII-XVI საუკუნეებში რაინდები იპყრობდნენ და იცავდნენ ევროპის სამეფოებს. რაინდობის მსურველები მკაცრ გამოცდას აბარებდნენ. რაინდად კურთხევისთვის 7 წლის. ასაკიდან ემზადებოდნენ (7 წლამდე რაინდობისთვის გამწესებული ფეოდალთა ვაჟიშვილები საკუთარ ოჯახში იზრდებოდნენ), ამ ასაკის ბიჭს მამამისის სენიორის კარზე მიაბარებდნენ, აქ იგი პაჟის წოდებას იღებდა და 14 წლამდე იარაღის ფლობას, დახვეწილ მანერებს, ცეკვა-სიმღერას და, რაც მთავარია, ცხენოსნობას სწავლობდა.

14 წლიდან პაჟები საჭურველთმტვირთველები ხდებოდნენ და 21 წლამდე საკუთარი სენიორის საჭურველის გაპრიალებით, მისი ცხენების მოვლით იყვნენ დაკავებულები და თან სხვადასხვა სახის იარაღის ხმარებას სწავლობდნენ. ისინი რაინდებს ბრძოლებში დაჰყვებოდნენ, უვლიდნენ მათ ცხენებს და საკუთარი ზურგით ათრევდნენ მათ სათადარიგო საჭურველს. 21 წლის ასაკს რომ მიაღწევდნენ, საჭურველთმტვირთველებს შეეძლოთ რაინდები გამხდარიყვნენ. საჭურველთმტვირთველის რაინდად კურთხევისას სენიორი მახვილით რიგრიგობით ეხებოდა მას მხრებზე. რაინდთა ღირსების კოდექსი მოითხოვდა რაინდული ღირსების დაცვას, სენიორისადმი მორჩილებას, სუსტთა დაცვას. რაინდები ერთგულების ფიცს დებდნენ, მონაწილეობდნენ ბრძოლებში, ტურნირებში. შუა საუკუნეებში კი მტერთან ბრძოლა არც ისე ადვილი იყო, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ როგორც წესი, მოწინააღმდეგეც ისეთივე ძლიერი და მომზადებული იყო ხოლმე, ჯერ მარტო რაინდის საჭურველი 30 კილოგრამამდე იწონიდა. ისე რომ, იმდროინდელი რაინდული მოდა მართლაც „მაგარ" ბიჭობას მოითხოვდა, ერთადერთი შეღავათი ის იყო, რომ აბჯრის ფირფიტები მოძრავად იყო ერთმანეთთან შეერთებული და აბჯროსან. რაინდს თავისუფლად მოძრაობის საშუალება ჰქონდა. აბჯარქვეშ რაინდი დუბლეტს, სქელ დალიანდაგებულ საცვალს იცვამდა. მოქნილი და მტკიცედ ნაქსოვი ლითონის ჯაჭვის პერანგი მახვილის დარტყმას უძლებდა. მუზარადს დალიანდაგებული სარჩული ჰქონდა, ლითონის ყელსაბამი ყელსა და ნიკაპს იცავდა.

მახვილის თუ შუბის დარტყმებისაგან და ისრისგან რაინდს აბჯარი იცავდა.

ლითონის იყო საბჯრე ხელთათმანიც, რომლის ქვეშ ტყავის ხელთათმანს იცვამდნენ.

ლითონისა იყო აგრეთვე რაინდის ვიწროჭვინტიანი ფეხსაცმელიც.

იარაღიდან რაინდები ყველაზე მეტ პატივს მახვილს სცემდნენ (მახვილი მართლმსაჯულების იარაღად ითვლებოდა).

შუბი წარმოადგენდა ლითონის ბუნიკიან გრძელ ჯოხს, ბრძოლის დაწყებამდე ცხენოსან რაინდს შუბი უნაგირის გარდიგარდმო ეჭირა.

ლითონის წვეტებიანი მძიმე კვერთხის დარტყმას ვერანაირი აბჯარი ვერ უძლებდა.

ხანჯალს რაინდები ხელჩართულ ბრძოლაში ხმარობდნენ აბჯარქვეშ დარტყმის მისაყენებლად.

# გვესაჭიროება რაინდები



ჩემი აზრით, რაინდი არის პიროვნება, რომელიც განსხვავდება სხვა ადამიანებისაგან და შემკულია ისეთ თვისებებით, როგორიცაა: ვაჟკაცობა თავდადება, ზრდილობა, სამართლიანობა და მრავალი სხვა დადებითი თვისება. ჩემს ნაცნობებში ასეთი ადამიანი არ მოიპოვება.

**ანა ჯალაღონია, 8 წლის.**



რაინდი წარმომიდგენია თეთრ ცხენზე ამხედრებულ ვაჟკაცად, რომელსაც მხარზე მშვილდისარი აქვს გადაკიდებული. რაინდად მიმაჩნია ჩემი თხუთმეტი წლის დეიდაშვილი, რომელიც ზრდილობიანი, სამართლიანია და ქალს სცემს პატივს. ვცდილობ, ვიყო რაინდი და მე ვიქნები თანამედროვე რაინდი თეთრი ცხენის გარეშე.

**ზაზა გოჯიაშვილი, 10 წლის**



რაინდი უნდა იყოს სამშობლოს მცველი, უნდა აფასებდეს ხალხს, უნდა იყოს ძლიერი, გონიერი, გარშემო მყოფი ადამიანებიდან რაინდად ვერავის აღვიქვამ.

**თიკო აღვინაშვილი, 14 წლის**



ვინ არის რაინდი? არ ვიცი. მე კი მინდა, რაინდი ვიყო. ამისთვის ალბათ აუცილებელია ქალის პატივისცემა, გულადობა, უშიშრობა და ნათელი გონება.

ჩემს ნაცნობებში არავინ არის ისეთი, ვისაც რაინდს ვუწოდებდი.

**თორნიკე მახარაშვილი, 12 წლის**



ჩემი აზრით, რაინდი არის ძლიერი ადამიანი, რომელსაც არაფრის ეშინია და მტერს ზურგს არასოდეს აქცევს. რაინდი უნდა იყოს მიზანმიმართული, მას არაფერი არ უნდა აშინებდეს, უნდა და იყოს გულადი – „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო“...

ჩემი აზრით, ჩემი რაინდი მამაჩემია, რომელსაც რაინდისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება გააჩნია.

**მარიამ გელაშვილი, 12 წლის**



რაინდი რაინდია. იგი არის ადამიანი, რომელსაც სამართალი სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი. მისთვის აუცილებელია დიდი გული, სიკეთის კეთების დაუოკებელი სურვილი და თავმდაბლობა. ჩემთვის რაინდის იდეალი დათა თუთაშხიაა. მე მართლა ძალიან ვაფასებ ამ პიროვნებას.

**მარიამ გოჯიაშვილი, 15 წლის**

მოამზადა **ანა მახარაშვილმა**

24914

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ნაშრომი ქ. რუსთავის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი კერძო საშუალო სკოლა „მნათობის“ მესამეკლასელმა გიორგი მულაძემ სასკოლო კონფერენციისთვის მოამზადა (ხელმძღვანელი ე. ჭვინტიაშვილი). პატარა გიორგის თემამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

# არწივი

არწივი – ფრინველების გვარი შევარდენისებრთა რიგისა. სხეულის წონა – 6 კილოგრამამდე, გაშლილი ფრთების სიგრძე 2-2,5 მეტრამდე.

არწივი ყველა ფრინველის მეფედ ითვლებოდა და ღირსიც არის ამ დიდებული სახელისა. იგი მძლავრი, გულადი და ამპარტავანი ფრინველია. ტანი მოშავო ფერისა აქვს, მარტო კისერზე დაჰკრავს ოქროსფერი. ნისკარტი მოკაუჭებული და მაგარი აქვს, ბრჭყალები საშინლად ბასრი და ღონიერი. მისი ბრდღვიალა თვალებიდან ძალა და მამაცობა მოსჩანს, ფრთები გრძელი და ღონიერი აქვს. არწივს საცხოვრებლად მაღალ მთებში კლდიანი ადგილები უყვარს. სადაც ერთხელ დაბინავდება, იქ ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობს.

არწივი მოძრაობაში ძალიან სწრაფია, ფრინავს მშვენიერად, უშნოდ კი დადის, სამაგიეროდ, ჯდომა ლაზათიანი იცის, მშვენიერია მჯდომარე არწივის დანახვა. გამოჩნდება თუ არა არწივი რომელიმე ადგილას, შიშის ზარსა სცემს ყველა ფრინველს და წვრილ ოთხფეხს. მისი ხმის გაგონებაზე ფრინველები და პატარა ცხოველები აქეთ-იქით იფანტებიან, მაგრამ არწივის თვალებს რა დაემალება. როცა თავის საბილოს რამეს დაინახავს ქვემოთ, ფრთებს სწრაფად შეკუმშავს და ალმაცერად, ისარივით სწრაფად დაეშვება. ამ დროს საშინელი ძალით და სიჩქარით აპობს ჰაერს, ბასრი ბრჭყალები გაშლილი აქვს, რომ



საჩქაროდ ჩაუყაროს პირუტყვს, რომელიც ლუკმად ამოირჩია. არწივი ყველა ცხოველს დაეცხრება ხოლმე თავს, რომლის წაღებაც კი შეუძლია, ის არც პატარა მოთამაშე ბავშვს შეიცოდებს.

ცნობილია არწივის 12 სახეობა, იგი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში არწივის 6 სახეობა გვხვდება.

დედალ-მამალი არწივი მარტში დაიწყებს ხოლმე ახალი ბუდის გაკეთებას ან ძველი ბუდის გასუფთავებას. თუ არწივი მთებში ცხოვრობს, ბუდეს მაღალსა და მიუვალ კლდეებში იკეთებს, თუ ბინა ვაკე ტყეში აქვს, მაშინ ბუდეს მაღალსა და მიუდგომელ ხეზე იშენებს.

არწივი ბუდეში 1-2 კვერცხს დებს. კრუხობა გრძელდება 40-45 დღეს. ორი ბარტყი იშვიათად გამოიჩეკება. არწივის ბარტყს მართვე ჰქვია. ახლად გამოჩეკილი ბარტყები უფრო მატყლის გორგალს ჰგვანან, ვიდრე ფრინველს, მთელი ტანი შემოსილი აქვთ თეთრი ბურტყლით, მაგრამ თავი მალე მიიღებს ხოლმე ამპარტავან გამომეტყველებას. მშობლები კარგად უვლიან, უხვად აჭმევენ ხორცს. მამა არწივს ნანადირევი კი მოაქვს, მაგრამ შვილებს მხოლოდ დედა კვებავს. ამიტომ თუ დედა არწივი მოკვდა, მართვეც აუცილებლად იღუპება. ბარტყები მანამ კარგად არ დაიზრდებიან, ბუდეს თავს არ ანებებენ. დაფრენის შემდეგ დედ-მამა ჯერ კარგად ფრენას ასწავლის, მერე ნადირობას. ამ დროს არწივები საშინლად ავდებიან, გულადობა და შეუპოვრობა ერთისამად ემატებათ, არც ფრინველს, არც პატარა ცხოველებს აღარ აძლევენ მოსვენებას.

არწივზე ნადირობა ძალიან ძნელია. იგი ძლიერ ფრთხილი ფრინველია და მიუდგომელ ადგილზე ჯდება. იშვიათად მოხდება, რომ მონადირე სასროლ მანძილზე მიეპაროს. ცოცხლად დაჭერა კიდევ უფრო ძნელია. ზოგიერთ ქვეყანაში არწივს ხაფანგით იჭერენ, აშინაურებენ და სანადიროდ იყენებენ. არწივი დიდხანს ცოცხლობს. ყველა არწივი სასარგებლო ფრინველია, რადგან ისინი ანადგურებენ მავნე მღრღნელებს. სამწუხაროდ, არწივი საქართველოში ცოტა დარჩა, რის გამოც მასზე ნადირობა აკრძალულია.

# მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს

## ნიკოლოზ ცხვედაძე



გვინდა, რომ თითოეულმა თქვენგანმა, ქართველთა უმთავრეს ცოდნის ტაძარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობას რომ ჩაუვლის, მისი დამაარსებლისა და სულისჩამდგმელის, ქართველთა სინდისისა და ღირსების სიმბოლოს, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელთან ერთად, ამ შენობის აღმაშენებლის, სულმნათი ნიკო ცხვედაძის სახელიც გაიხსენოს.

ეს ადამიანი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მისი სახელი და ღვაწლი სამშობლოს, ხალხის წინაშე თითოეულმა ქართველმა იცოდეს და მარადჟამს ახსოვდეს.

თბილისის სასულიერო სემინარიისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ნიკო ცხვედაძე ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა, მერე კი – თბილისის ქალთა ინსტიტუტსა და წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი წესდების პროექტის შემდგენელი და გამგეობის მუდმივი წევრი, მოგვიანებით კი ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. მამულის სიყვარულით ანთებული მოღვაწის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ქართული სკოლები გაიხსნა ვლადიკავკაზში, ბაქოსა და ბათუმში. 1898 წელს ნიკო ცხვედაძე სათავეში ჩაუდგა თბილისის ქართული გიმნაზიის, სინამდვილეში მომავალი ქართული უნივერსიტეტისთვის გათვალისწინებული შენობის აგებას. შენობის ასაგები თანხაც მისი ძალისხმევითა და უშუალო ხელმძღვანელობით შეგროვდა. იმისათვის რათა ამ ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელობაზე გარკვეული წარმოდგენა შეგიქმნათ, შეგახსენებთ, რომ ქართული განათლების მოციქულად აღიარებული ნიკო ცხვედაძე იმ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ქართული სული ერთგვარად მიძინებული იყო, ხოლო გიმნაზიისთვის ისეთი დიდებული შენობის აგება, როგორიც ნიკო ცხვედაძემ ჩაიფიქრა, ბევრს იმდროინდელი საერო ხელმოკლეობის დროს ქართულ ბედოვლათობად მიაჩნდა.

აი, როგორ იხსენებს თბილისის უნივერსიტეტის შენობის აგებისთვის დამაშვრალი ერისკაცის თავდადებას მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ზურაბიშვილი:

„...ვაივაგლახით დაწყებული შენობის დამთავრება მან გაიხადა საკუთარი ღირსების საქმედ, პირადი ცხოვრების ქვაკუთხედად. დღეს აღამებდა და ღამეს ათენებდა ამ შენობაზე ფიქრით, ამ შენობის შესახებ ყოველი წვრილმანი იცოდა, სად რა ქვა ან თავკოჭი დადებულიყო. მართალია, მშენებელი ცნობილი არქიტექტორი სვიმონ კლდიაშვილი იყო, მაგრამ იგი უმთავრესად ნიკოლოზის განზრახვას ასრულებდა, და უნდა მოგესმინათ მისი ახსნა-განმარტებანი, თუ შენობაზე მიხვიდოდით... პირდაპირ პოეტად გადაიქცეოდა ხოლმე და თქვენ წინაშე იშლებოდა მომხიბლავი სურათი იმისა, თუ რა ფართოდ, რა მოხერხებულად მოთავსდებოდა სათავადაზნაურო გიმნაზია ამ იდეალური, პედაგოგიური მეცნიერების უკანასკნელ მოთხოვნილებათა კვალობაზე აგებულ შენობაში.

–ცხვედაძეს რომ უსმენ, როცა გიმნაზიის შენობაზე ლაპარაკობს, ნამდვილი სირინოზი გეგონება ეს ბაყბაყდევი კაციო, – ხშირად გაიგონებდით ქართველ საზოგადოებაში.

ამნაირად საშუალო სკოლის ჩვეულებრივ სადგომად განზრახული შენობა მისი გაქანებული ფანტაზიის მეოხებით უზარმაზარ შენობად გადაიქცა, რომელმაც შემდგომ მთელი უნივერსიტეტი დაიტია...

ცხვედაძის მიერ უნივერსიტეტად ჩაფიქრებული შენობის აგების უმთავრესი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი წყარო თავადაზნაურობის მიერ სათავადაზნაურო – საადგილმამულო ბანკის მოგებიდან გადადებული თანხა იყო და ამდენად სულ უფრო მზარდი ხარჯი ბევრს აღიზიანებდა. ერთხელ ნიკოლოზ ცხვედაძისთვის პირდაპირ უთქვამთ: რა გახდა კაცო, ერთი უხეირო საშუალო სკოლის შენობა? ვაყრით და ვაყრით ფულს და უძირო ორმოსავით ვერ ამოგვივსია. ან რა საჭიროა გიმნაზიისთვის ასეთი გრანდიოზული სახლი?

ნიკოლოზის ბრგე, მაგრად შეკრული, განზე მდგომი ფიგურა შეირყა, თითქო მასში პეტარდა აფეთქდაო. ბიბლიური სახე ფანატიკოსი წინასწარმეტყველისა, თეთრი, აქა-იქ შავზოლებჩახლართული წვერით მოსილი, მწარე ღიმილმა გააპო. ჯერ კიდევ ახალგაზრდული სიცოცხლით სავსე შავმა თვალებმა, რომლებსაც შავნარევი მსხვილი წარბები გადმოსწოლოდნენ, ნაპერწკლები დააკვესეს.

–რას ჩამაცივდით თქვენი სათავადაზნაურო გიმნაზიით, თითქო მაზედ ჩამოწყვეტილიყოს მთელი ქვეყნის ბედი? – მიმართა მან თავის მოსაუბრეთ მთრთოლვარე ხმით. – ნუთუ უკეთესის, უფრო დიდი რამის წარმოდგენის უნარი დაგკარგვიათ? ნუთუ სამუდამოდ გამოეთხოვეთ იმ იმედს, რომ ოდესმე ქართველებს შეიძლება თავიანთი უმაღლესი სასწავლებლები ჰქონდეთ?! მე რომ ვარაუდში მარტო სათავადაზნაურო გიმნაზია მქონდეს, ხვალვე გადავხურავდი შენობას და შეგეძლოთ მოგეთავსებინათ თქვენი გიმნაზია. ისიც დაიტევს გიმნაზიას, რაც უკვე გაკეთებულია... მაგრამ სად მოათავსებთ უმაღლეს სასწავლებელს, ვინიცობაა დადგა ის სანეტარო წამი? ახალს ააშენებთ? ვაი, რომ ვერ ააშენებთ! – დაათავა მან ენერგიული ხელის ჩაქნევით. ეს ისეთი ხვაშიადის გამჟღავნება იყო, რომ ყველანი გავშრით, აი, თურმე საითკენ ჰქონდა ნიკოლოზს ოცნება! აი, თურმე რა ასულდგმულებდა მას ამდენი ხნის განმავლობაში და რა უდიდესი ძალის ენერგიას ავითარებდა დაბრკოლებათა დასაძლევად!.. იგი უქმნიდა შენობას არა სათავადაზნაურო გიმნაზიას, არამედ მომავალ ქართულ უმაღლეს სკოლას, რომელიც ვინ იცის, წარმოიშვებოდა კი ოდესმე! ამის რწმენა მართლაც არავის ჰქონდა, ვით ფუჭი ოცნებისა. მხოლოდ იგი ატარებდა ამ რწმენას თავის დიად გულში. ეს რწმენა იყო ნამდვილი პატრიოტული გრძნობის ემბაზში ნათელღებული და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის სიდიადით განმტკიცებული...“

# იცნობდეთ







ეს და-ძმა, ქეთი და თორნიკე ლომიძეები არიან, ორივენი თბილისის 92-ე სკოლაში სწავლობენ, ქეთი პირველი კლასის მოსწავლეა, თორნიკე კი – მეექვსის. კუდრაჭა ქეთი ძირითადად თოჯინებით ერთობა, თორნიკეს კი ხატვა უყვარს, ნიჭიერ ბიჭს კარგად გამოუდის ძერწვაც, ხეზე მუშაობაც, მდიდარი წარმოსახვა და სხარტი გონება ხან რას უკარნახებს და ხან რას. მის ნახელავ თიხის ფიგურებს შორის ძაღლიც არის, შეშის მჭრელიც, ქვაბიც, ტანკიც, ადამიანის თავის ქალაც. თორნიკეს ფანტაზიას უფრო მეტი გასაქანი მშობლიურ სოფელ თოხლიაურში ეძლევა, სადაც ის და ქეთი ზაფხულის არდადეგებს ატარებენ ხოლმე. გასულ ზაფხულს ისეთი მექანიკური საფრთხობელა „რამაზი“ გააკეთა, რომ ფრინველებს კი არა, პირველ დანახვაზე ახლობლებსა და მეზობლებსაც გაუხეთქა გული. ძამიკოს შემოქმედების პირველი შემფასებელი ქეთია, როგორც წესი, მას ყველაფერი მოსწონს, რასაც თორნიკე აკეთებს, თუმცა ზოგჯერ შენიშვნებსაც არ ერიდება. თორნიკე ოცნებობს ჰქონდეს საკუთარი სახლი და სახელოსნო, სადაც ყველა თავის ნამუშევარს გამოფენდა.

# უკეთესი სკოლა, ბედნიერი საქართველო



ილია შანშაშვილი თბილისის 155-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეა და მიაჩნია, რომ ყველაზე ლამაზ ქუჩაზე ცხოვრობს, დიდუბის საგამოფენო პავილიონების პარკის წინ. სულ პატარა რომ იყო, ამ პარკში დაჰყავდათ სასეირნოდ, მის თვალწინ აიყარეს ტანი უმშვენიერესმა ხეებმა. ახლაც, თავისუფალ დროს ლილი ბებოსთან ერთად პარკში არჩევს დასვენებას, ბურთის თამაშს, ველოსიპედით სიარულს.

იყო დრო, ცელქსა და გართობის მოყვარულს სკოლაში სიარული ეზარებოდა, ახლა კი დიდი ბიჭია და შეგნებული აქვს, რომ სწორედ სკოლაში, გაკვეთილებზე მიღებული ცოდნაა საფუძველთა საფუძველი, რომელიც ცხოვრებაში წარმატების მიღწევაში უნდა დაეხმაროს. ამას თვითონ მიხვდა, წიგნების კითხვას და დამოუკიდებლად მეცადინეობასაც თავად მიეჩვია. გულღიასა და კეთილ ბიჭს ბევრი ამხანაგ-მეგობარი ჰყავს, მათგან საუკეთესოდ კი თანაკლასელი ცოტნე ინწკირველი მიაჩნია, პედაგოგი კი ყველა ერთნაირად უყვარს.

ილიას ყოველდღიური და უახლოესი მეგობარი კი მისი დაიკო – ლილიაა, რომელიც მისსავე სკოლაში მე-3 კლასში სწავლობს და ანსამბლშიც ცეკვავს. და და ძმა ხშირად კამათობენ, კინკლაობენ კიდეც, უფრო ხშირად კი ერთად თამაშობენ, ერთად ირთობენ თავს.

ილიას განსაკუთრებით უყვარს კომპიუტერი და თავისი ასაკის კვალობაზე კარგად ერკვევა მის შესაძლებლობებში, დამოუკიდებლად იძიებს, ეცნობა და სწავლობს თავისთვის საჭირო პროგრამებსა და ინფორმაციებს.

ილიას ძალიან უყვარს ავტორალი, გადაწყვეტილი აქვს მომავალში გამომგონებელი ან ბიზნესმენი გახდეს და საკუთარი უნარ-შესაძლებლობები კეთილ საქმეებს მოახმაროს. ბუნებით მეოცნებე ბიჭს ბევრი ნატვრა აქვს, მათგან უმთავრესი ბედნიერი საქართველოს ხილვაა, ისეთის, ყველა ბავშვი რომ ბედნიერი იქნება, კიდევ ილიას ძალიან უნდა, მშობლიური სკოლა უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი, თანამედროვე დონეზე აღჭურვილი იყოს...

ლია მარტაშვილი

# გირჩევთ ექიმი-კოსმეტოლოგი ლამარა ცუცქირიძე



**გარდა იმისა, რომ ქალბატონი ლამარა დიდებული ექიმი-კოსმეტოლოგია, იგი გახლავთ ესპერანტოს კლუბ „ფლოროს“ და საქართველოში ესპერანტოს ერთადერთი მუზეუმის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელი 27 წლის განმავლობაში, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და კიდევ სხვა მრავალი ტიტულისა თუ წოდების მფლობელი, ესპერანტისტთა რიგი საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მონაწილე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ბავშვებისა და ახალგაზრდების დიდი მეგობარი.**

მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ლამარა ცუცქირიძეს ჩვენი ჟურნალის მუდმივი თანადგომისათვის და ყოველივე იმისთვის, რასაც იგი უანგაროდ აკეთებს მოზარდი თაობის სასიკეთოდ.

გაზაფხულია, გაიღვიძა და გალამაზდა ბუნება. თქვენც გალამაზდით, გახალისდით, ჩემო კარგებო. მერწმუნეთ, თუ შემოთავაზებულ რჩევებს ყურად იღებთ, თქვენც გაზაფხულივით მშვენიერები, ჯანმრთელები და კისკასები იქნებით.

ეცადეთ დაიცვათ თითოეული თქვენგანისათვის სასურველი დღის რეჟიმი:

- ნურც გონებრივად გადაიღლებით და ნურც ფიზიკურად;
- ღამე 8-10 საათი იძინეთ;
- დაიცავით კანისა და სხეულის ჰიგიენა;
- დილაობით აუცილებლად ივარჯიშე ღია ფანჯარასთან 10-15 წუთი, მიიღეთ შხაპი, ხოლო თუ ამის საშუალება არა გაქვთ, დილით ტანი წყალში დასველებული და გაწურული ხაოიანი პირსახოცით დაიზილეთ;
- ხშირად იარეთ ფეხით – არანაკლებ 2-3 კილომეტრისა დღეში;
- აივსეთ მხოლოდ სიკეთით და სიყვარულით;
- იმეგობრეთ ხალისიან, კეთილ, გულღია ადამიანებთან;
- ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნეთ სიმხნევე და ხალისი!

**მოუარეთ სახის კანს!**

- არასოდეს იწვალოთ სახე თითებით (ნუ ეცდებით ფრჩხილებით ამოიგდოთ ფერიმჭამელა ან ჩირქგროვა სახეზე);
- ნუ მიეჩვევით სახეზე ხელების მოსმას, ნურც ტელეფონის ყურმილს მიიდებთ ხოლმე ლოყაზე;
- სვით რაც შეიძლება მეტი წყალი, ის ორგანიზმს წმენდს;
- თუ სპორტს მისდევთ, არასოდეს ივარჯიშოთ მაკიაჟით;
- ყოველ საღამოს პირი დაიბანეთ ანტისეპტიკური საპნით;
- ძილის წინ აუცილებლად მოიცილეთ სახიდან მაკიაჟი;
- ეცადეთ პირი სახლში ნადგომი წყლით დაიბანოთ;
- ერიდეთ ქიმიას, ის აბერებს სახის კანს;
- თუ მალამოები გჭირდებათ, მხოლოდ კოსმეტოლოგის რჩევით შერჩეული ბუნებრივი მალამო იხმარეთ.

**გთავაზობთ რამდენიმე ნიღაბს და შეგახსენებთ:**

ნიღაბი უნდა წაისვათ ნაზად, სასურველია წოლით მდგომარეობაში. თვალის უპეებთან წინასწარ წაისვით მკვებავი მალამო. ნიღაბი არ უნდა ჩამოსცილდეს წარბს და არ უნდა შეეხოს თვალების ქვეშ ნაზ კანს.

ნიღაბი უნდა ჩამოიბანოთ ნაზად, ბამბის ტამპონით.

**ნიღბები ფართოფორებიანი ცხიმიანი კანისათვის:**

გაწურეთ 2 ლიმონი, შეურიეთ 1 დესერტის კოვზი თაფლი, აურიეთ, წაისვით სახეზე, გაიჩერეთ 20 წუთი, ჩამოიბანეთ ოთახში ნადგომი წყლით (დარჩენილი მასა შეინახეთ მაცივარში და გამოიყენეთ მეორე დღისთვის).

**ნიღაბი ფერისმჭამელებისაკენ მიდრეკილი კანისათვის**

გაფცქვნილი ფორთოხლის მრგვალად (კურკები გამოაცალეთ) დაჭრილი ნაჭრები დაიდეთ სახეზე და გაიჩერეთ 20 წუთი, ჩამოიბანეთ ოთახში ნადგომი წყლით.

**ნიღბები მშრალი კანისათვის**

1 ცალი ბანანი გაფცქვენით, დაჭერით მრგვალმრგვალად, დაიდეთ სახეზე, გაიჩერეთ 20-30 წუთი, ჩამოიბანეთ ოთახის ტემპერატურის წყლით.

# სკოლის სადაგი დღეები

იუბილარმა სკოლა „მნათობმა" თავისი არსებობა ხუთი წლის წინ 8 მოსწავლით დაიწყო. გადიოდა დღეები, თვეები, წლები და სკოლა თანდათანობით ძალას იკრებდა, იზრდებოდა და ძლიერდებოდა. წარსულს ჩაბარდა ფართობის მოწესრიგებაზე ზრუნვა, საკუთარი ძალებით გათბობაც დაამონტაჟეს, კეთილმოწყობის სხვა სამუშაოებიც ჩაატარეს და კათედრებიც შესაბამისი ტექნიკით აღჭურვეს. დიდი ინტერესით აგროვებდნენ და აგროვებენ თვალსაჩინოებს ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტისთვის. ამ საქმეში ზოგჯერ მეზობლად მდებარე სკოლის მოსწავლეებიც ეხმარებიან. სკოლის შესასვლელში თვალში მოგხვდებათ ორიგინალური ფორმით წარმოდგენილი კედლის გაზეთები. მოძრავ ჩარჩოებში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე თემატურად განსხვავებული გაზეთები პერიოდულად იცვლება და თითოეულ მათგანში ნათლად ჩანს მოსწავლეთა ცოდნა, აზროვნება და სულისკვეთება. სკოლა-შიქრისტიანულ-მართლმადიდებლური მადლით გაბრწყინებული სამლოცველოც აქვთ, თუმცა დღემდე ბევრი რამ გაკეთდა, „მნათობში" მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და კიდევ ბევრი საინტერესო ჩანაფიქრის ხორცშესხმას აპირებენ. აი რამ ამბობს სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით სკოლის დირექტორი ქალბატონი ლია მულაძე:

–მე ყოველთვის მქონდა უკმარისობის გრძნობა ჩვენში არსებული სკოლის მიმართ, „მნათობის" შექმნაც სწორედ ამან განაპირობა. მსურდა გამეკეთებინა ძალიან კარგი, ეროვნულ ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული სკოლა, მართალია, მე და ჩემმა ოჯახმა, მეგობარ-ახლობლებმა სკოლის კოლექტივთან ერთად დიდი ენერგია ჩავდეთ, საკეთებელი მაინც ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ის არის, რომ შრომა გვიფასდება – ამას გრძნობს თითოეული მოსწავლე თუ მშობელი და ამიტომაც თავიანთ ახლობლებს ჩვენს სკოლაში ურჩევენ სწავლას. აქ ხომ ქართველი ბავშვების გვერდით არაქართველი მოსწავლეებიც მშვენივრად გრძნობენ თავს. მოსწავლეები ჩვენთან შორი მანძილიდანაც დადიან, გვყავს მოსწავლეები სოფლებიდან სამგორიდან და მთისძირიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენი ქალაქის სხვა უბნებზე.

## „მნათობი" ახალ შევსებას ელის



კლასები 12-14 მოსწავლით არის დაკომპლექტებული, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ მუშაობას და კარგ პირობას ქმნის კონტროლისა და ზედამხედველობისათვის. თითოეულ მშობელს ოპერატიულად ეცნობება შვილის გაცდენა-დაგვიანების, დისციპლინარული დარღვევების შესახებ. ამის შედეგად, ყველა ბავშვი მუდმივი ყურადღების ქვეშაა. თითქმის ყველა ჩვენი პედაგოგი კარგი ფსიქოლოგია. უპირველეს ყოვლისა დისციპლინა და ცოდნის მაღალი დონე – ეს არის ჩვენი პრიორიტეტი. სკოლაში I კლასიდან ისწავლება ინგლისური, II-დან – რუსული, ხოლო V კლასიდან – გერმანული ენა. X-XI კლასებში გვაქვს სააბიტურიენტო პროგრამა, რასაც უკვე მოჰყვა სასიკეთო შედეგი, ჩვენი კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში ინდივიდუალური მომზადების გარეშე ჩაირიცხნენ.

სწავლების პროცესში ვიყენებთ აუდიო და ვიდეოაპარატურას, ყველა კლასში ტარდება შიდასასკოლო ტურები, კონფერენციები, IX-X-XI კლასებში ყოველი სემესტრის ბოლოს გამოცდები გვაქვს, ყველა დანარჩენ კლასში კი – ყოველი თვის ბოლოს. ამჟამად სკოლაში ამერიკელი სტუმარი გვყავს, ბატონი ჯეიმსი, რომელიც მალე დაბრუნდება სამშობლოში. მომავალში ვფიქრობთ, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ ამერიკულ სკოლასთან ვითანამშრომლოთ.

„მნათობში" მოქმედებს ქართული და ლათინოამერიკული ცეკვების სტუდია (პედ. დავით მეარაყიშვილი), მეორე წელია მუშაობს შაშის წრე, (პედ. საერთაშორისო ოსტატი თ. რეხვიაშვილი), ამ სახეობაში უკვე გვყავს ქალაქის ორგზის ჩემპიონები ანა გაბიევა და მარი ზურაბიშვილი.

სკოლა „მნათობი" მალე ახალ შევსებას მიიღებს და აქ სწავლის მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლოა, XII მიკრორაიონში №36 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში ამჟამად დაკავებული ფართობი საკმარისი არ აღმოჩნდეს, თუმცა, აქ არც ეს მიაჩნიათ გადაუჭრელ პრობლემად.

2006-2007 სასწავლო წლისათვის კადრების დაკომპლექტება უკვე დაიწყო. „მნათობის" კარი ღიაა ყველა მსურველისათვის.

**მანანა მაილაშვილი**

# მომავალი წიგნიერმა ახალგაზრდობამ უნდა აშენოს



რუსთავის სკოლა „ლამპარი", ზვიად გამსახურდიას სახელს რომ ატარებს, სამართლიანად იწონებს თავს მისი მოსწავლეებით. დები – მერვეკლასელი მარი და მეშვიდეკლასელი ანა ტლაშაძეებიც იმათ შორის არიან, ვინც არა ერთხელ ასახელა მშობლიური სკოლა. რამდენიმე წელია დები წარმატებით მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციებში და პირველი ხარისხის დიპლომებით ჯილდოვდებიან. წლევანდელ კონფერენციაში დებმა გერმანული ენის სექციაში წარადგინეს თემები. მარის თემამ „ნოსტალგია" და ანას თემამ „21-ე საუკუნის ახალგაზრდობა" კონფერენციის უცხო ენების ჟიურის წევრთა საერთო მოწონება დაიმსახურა, ორივე ნაშრომი პირველი ხარისხის დიპლომებით აღინიშნა.

მოპოვებულმა წარმატებებმა ძალიან გაახარა თემის ავტორები, სკოლის პედაგოგები და დირექცია, თანაკლასელები, ყველაზე მეტად კი მარის და ანას დედა – ინგა თოფურია, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველა ქართულ ტრადიციულ ოჯახში პრიორიტეტულ მიზნად ისევ განათლება უნდა რჩებოდეს, წიგნიერმა ახალგაზრდობამ უნდა ააშენოს მომავალი. **ი. თოფურია:** ჩვენმა შვილებმა კიდევ ერთხელ გაგვახარეს წარმატებებით. საკონფერენციო თემები მათ ჩვენი ოჯახის მიერ აფხაზეთის ტრაგედიის დღეებში განცდილ-გადატანილის საფუძველზე დაწერეს. მუშაობის პროცესში მათ დიდი დახმარება გაუწია გერმანული ენის მასწავლებელმა მარიკა კაპანაძემ. მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ სკოლა-კოლეჯი „ლამპარი" სადაც ჩემი ოთხი შვილი სწავლობს, მაღალი დონის სასწავლებელია, რომლის დირექტორი დავით მენაფირე და პედკოლექტივი ყოველმხრივ უწყობენ ხელს მოსწავლეებს ცოდნის შეძენა-გაღრმავებაში, სამომავლოდ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

**ლია მარტაშვილი**



გამარჯობათ! – მე მამედ მამედოვი ვარ. ვსწავლობ საგარეჯოს რაიონის სოფ. ლამბალოს საჯარო სკოლაში. მე აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ საქართველო ძალიან მიყვარს. საქართველო ხომ ჩემი სამშობლოა. ძალიან მიყვარს ჩემი სოფელიც, რომელსაც დიდი მინდვრები ალამაზებს. ჩვენ, აზერბაიჯანელებს, ძალიან გვიყვარს შრომა, ვუვლით და ვზრდით ძალიან ბევრ საქონელს. შრომა არც მე მეზარება. ზაფხულში მამას ვეხმარები, საქონელი მთაში მიგვყავს და ვუვლით, სექტემბრიდან კი ისევ სკოლას ვუბრუნდები და ხელში ჩემთვის ყველაზე საყვარელ წიგნს „დედაენას“ ვიჭერ.

**მამედ მამედოვი**, ლამბალოს საჯარო სკოლა, III კლასი, ქართული სექტორი







ირაკლი დალალიშვილი, რუსთავის შ. რუსთაველის სახ. საერო საკოლა, IV კლასი







ნელი მეჭურჭლიშვილი, 9 წლის, ახმეტის რაიონი, სოფელი კოღოთო







სალომე დალალიშვილი, რუსთავის შ. რუსთაველის სახ. საერო საკოლა, IV კლასი

# უნდა გაგაოცოთ

### ძაღლი, რომელიც უკანა თათებზე შემდგარი დადის

შპიცის ჯიშის ძაღლი კიანგ-კიანგი, რომელიც პატრონთან ერთად ჩინეთის ქალაქ ვუჩანში ცხოვრობს, უკანა თათებზე დგება და ისე დადის. ამასთან იგი ასე ერთ-ორ ნაბიჯს კი არ გადის, არამედ რვა კილომეტრს შეუსვენებლად! შეიძლება ითქვას, რომ ეს საოცარი ძაღლი მხოლოდ იმ შემთხვევაში დგება ოთხივე კიდურზე, როცა მორიგ ხესთან თუ ბოძთან ფეხის აწევა უწევს.

### ძაღლების პარკინგი

იტალიის დედაქალაქის ქუჩებში გამოყოფილია სპეციალური ადგილები, სადაც სხვადასხვა საქმეზე წასასვლელ პატრონს შეუძლია მშვიდად დატოვოს თავისი ძაღლი. შენობის კედელში სა-




განგებოდ ჩამაგრებულ კარაბინზე გამობმული ცხოველი მშვიდად ელოდება პატრონს „ძაღლების პარკინგზე“ – Cane parking, იქვე მიმაგრებულ ფირფიტაზე წარწერაა: „წადი, მე აქ დაგელოდები!“

### ყველაზე მოუხერხებელი სახლი

იაპონიის ქალაქ მიტაკიში უცნაური საცხოვრებელი სახლი გაჩნდა. გარედან ის სათამაშო კონსტრუქტორს ჰგავს, შიგნით კი ბინის პატრონებს ელით ამობურცული და ჩაზნექილი, უსწორმასწორო იატაკები, უწესრიგოდ განლაგებული ფანჯრები და იმდენად პატარა კარები, რომ თუ არ მოიხარნენ, ოთახიდან ოთახში ვერც გავლენ და ვერც შემოვლენ. ხუთსართულიან შენობაში ლიფტი არ არის. ბინებში ელექტროჩამრთველ-გამომრთველებიც ყველაზე მოუხერხებელ ადგილებზეა დაყენებული. თუმცა გასაკვირია, რომ სახლში სინათლე საერთოდ არის, რადგან ამ უჩვეულო ნაგებობის შემქმნელები ხელმძღვანელობდნენ დევიზით: – „რაც უარესია, მით უკეთესია“. „ადამიანები არ უნდა მოდუნდნენ, უსაქმოდ არ უნდა იყვნენ, – ამბობენ არქიტექტორები. – ბინა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი მფლობელისგან სულ მოძრაობას, გამუდმებით ყურადღებით ყოფნას მოითხოვდეს“.

### ქუჩების მალულად გამწვანება

ლონდონის ქუჩებში პარტიზანი გამმწვანებლები გამოჩნდნენ. ამ საიდუმლო საზოგადოების წევრები ეძებენ გამოუყენებულ-აუთვისებელ მიწის ნაკვეთებს და იქ ყვავილებსა თუ ბოსტნეულს თესავენ და რგავენ. ამას ისინი მალულად აკეთებენ, რადგან ასეთი საქმიანობა კერძო საკუთრების ხელყოფად ითვლება. საქმეს რომ მორჩებიან, მოუხელთებელი გამმწვანებლები ნარგაობების გვერდით ტოვებენ ფირფიტებს წარწერით: „გთხოვთ, მომრწყათ! მადლობთ!“

### ღორების ოლიმპიური თამაშები

შანხაიში გამართული ღორების პირველი ოლიმპიური თამაშების Pig olympics მონაწილეები სპორტის რამდენიმე სახეობაში, კერძოდ, სირბილში, ცურვასა და რგოლში გადახტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მოასპარეზეთა შორის ტაილანდში გამოყვანილი განსაკუთრებული, მინიჯიშის ღრუტუნები მონაწილეობდნენ. ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას მომავალ სპორტსმენებს დაბადების პირველი დღეებიდანვე აწყებინებენ და დაახლოებით ერთი წლის ასაკში ისინი უკვე მზად არიან საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად.



# შარვალი მაწანწალებისა და პრეზიდენტებისათვის



როგორი მოკრძალებულიც უნდა იყოს დღეს თქვენი ოჯახის ბიუჯეტი, მშობლები მინც ახერხებენ თითო ხელი ჯინსი გიყიდონ. ყოველდღიურად სახმარად, სკოლაში, სახლში, ეზოში, მოგზაურობაში, შრომაში მას ხომ შარვალი ვერ შეედრება. მე თქვენ გეტყვით და უთოთი გატკიცინება, ზედ გადაყოლა და ხაზების გამოყვანა სჭირდება თუ საკიდარზე ან სკამის ზურგზე ტოტი ტოტზე მიდებით გადაკიდება?! გაირეცხება სარეცხ მანქანაში, ჩაიცვამ და გინდა ფეხბურთი ითამაშე, გინდა სკოლაში წადი, გინდა მთა-ბარი დაიარე – ყველგან ერთნაირად გამოგადგება და გასიამოვნებს, დაილოცოს მისი მომგონი!

მაინც ვინ უნდა ვლოცოთ, ვის უნდა უმადლოდეს მთელი მსოფლიო ამ საოცრად პრაქტიკული სამოსის შექმნას?

პირველად ჯინსიანი მამაკაცი 134 წლის წინათ გამოჩნდა. დღეს კი...

ვიღას არ აცვია დღეს ჯინსი? ყველაზე დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტი გნებავთ, კლასიკოსად მიჩნეული მწერალი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, საყოველთაოდ ცნობილი კინოვარსკვლავი, მზით გარუჯული კოვბოი, მილიონერი ბიზნესმენი, რიგითი სახელმწიფო მოხელე, მაღალი მოდის მამამთავრები და მიმდევრები, თუ მაღალმთიანი სოფლის მკვიდრი – ყველა სიამოვნებით იწნოებს ამ საოცრად პრაქტიკულ, მოსახერხებელ შარვალს, გარეცხვითაც რომ ადვილად ირეცხება, არც უთოობა სჭირდება და არც მაინცდამაინც დიდი გაფრთხილება, სიცივეშიც რომვარგა და ზაფხულშიც მშვენიერი სატარებელია.

თუმცა დღეს უმრავლესობა ჯინსს, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეს, ამერიკულ ნაწარმად მიიჩნევს და ოფიციალურადაც ეს ქვეყანაა მის სამშობლოდ მიჩნეული, ამბობენ, რომ სულ პირველები ჯინსის შარვლით გენუელი მეზღვაურები დაიარებოდნენ, რომლებმაც ძალიან მალე შეაფასეს პატარა ფრანგულ ქალაქ ნიმში წარმოებული შარვლის (მაშინ მას „დე ნიმი“ ერქვა) ყველა სიკეთე. მოგვიანებით ამ ქსოვილის მწარმოებელი ფაბრიკანტები საეკლესიო ეგზეკუციით შეშინებულნი ინგლისში გადაიხვეწნენ. როგორც ამბობენ, 1853 წლის 14 მარტს 24 წლის ბავარიელმა ემიგრანტმა ლევი სტრაუსმა ოქროს მაძიებელ, პრერიების მოყვარულ ამერიკელებს საკარვე ქსოვილისგან შეკერილი შარვლები შესთავაზა, რომლებიც სწორედ რომ მისწრება აღმოჩნდა საველე ცხოვრებას შეჩვეული ბედისმაძიებელი მამაკაცებისათვის.




ქსოვილი ასეთი შარვლებისთვის სტრაუსისთვის ზღვით ჩამოჰქონდათ ქალაქ გენუიდან, რომლის სახელიც იტალიურად წარმოითქმის როგორც „ჯენოვა“. ასე წარმოიშვა ამ ქსოვილისგან შეკერილი შარვლის სახელიც – „ჯინსი“. ერთხელ ლევიმ მიიღო ნევადელი მკერავის ჯაკობ დევისის წერილი, რომელშიც იგი იწერებოდა, რომ სამუშაო შარვლის ჯიბეების ცხენის აღკაზმულობის მოქლონებით დ[illegible]ების ხერხი მოიგონა, მაგრამ უფულობის გამო საკუთარ გამოგონებას ვერ აპატენტებდა. 1873 წლის 20 მაისს სტრაუსი და დევისი პატენტის მფლობელები გახდნენ, სპილენძის მოქლონებითა და ხუთ-ხუთი ჯიბით აღჭურვილმა ჯინსის შარვალმა კი მსოფლიოს გარშემო ტრიუმფალური სვლა დაიწყო.

ორი ათეული წლის შემდეგ „Levi`s“-ის უკანა ჯიბეებზე ამობრუნებული „M“-ის მსგავსი დალიანდაგებული ზოლები გაჩნდა, რომლებიც სიმბოლურად კალიფორნიის მთის არწივს გამოსახავდა. ფირმა მერეც ცდილობდა, რაღაცით მაინც ყოფილიყო ჯინსის სხვა მწარმოებლებისგან გამორჩეული. არწივს უკანა ჯიბეებზე ჩაკერებული ტყავის ეტიკეტი დაემატა და „ლევისი“ კიდევ კარგა ხნით ინარჩუნებდა ლიდერობას კონკურენტებს შორის. გასული საუკუნის დამლევსლა წამოეწივნენ „Lee“ და „Wrangler“, მათ კი სხვა ფირმებიც ჩაუდგნენ კვალში. დღეს ყველას თავისი მომხმარებელი ჰყავს. დიდი უმრავლესობა „რაიფლის“ „ლევისს“ ამჯობინებენ. კალვინ კლაინის ნაწარმი, უფრო ყმაწვილებისთვის, მოზარდებისთვის არის უპრიანი, „დიზელი“, მაინცდამაინც ექსცენტრიკოსებს უყვართ. თავდაპირველი ლურჯი ფერის გარდა, მოგვიანებით სხვა ფერის – მწვანე, შავი, ყავისფერი, იისფერი ჯინსების წარმოებაც დაიწყო, ლურჯი ჯინსი დღესაც კლასიკურად რჩება და იგი აშკარად დომინირებს. და მაინც ჯინსი Blue jeans – ად უქმე დღის „ფორმად“ რჩება და მხოლოდ ელემენტარული ეტიკეტის უცოდინარი, ან ეპატაჟის მოყვარული ადამიანი თუ მისცემს თავს უფლებას ჯინსში ჩაცმული მივიდეს თეატრში, ოფიციალურ მიღებაზე ან საქმიან შეხვედრაზე. ყოფილ საბჭოთა კავშირში და ე.ი. საქართველოში ჯინსი პირველად 1957 წელს მოსკოვში გამართული ახალგაზრდობისა და სტუდენტების ფესტივალის მონაწილეებთან ერთად გამოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენზე ფიქრით რომ ადამეანს

## ულევი სითბოთი და სიყვარულით

იმ თაობის გოგონების უმრავლესობასავით ლეილა კონტუაძეც პატარაობაში მასწავლებლობაზე ოცნებობდა. სოფელში ქვებისგან სკოლის შენობას აგებდა, საკლასო ოთახში მოსწავლეების ადგილას კენჭებს დააწყობდა და გაკვეთილებს უტარებდა. ოცნებას ბოლომდე უერთგულა და თბილისის 24-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მაშინდელი ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა



დაწყებითი განათლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის სპეციალობით. ჩინებული ლექტორები ასწავლიდნენ: ვალერიან რამიშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე, ალექსანდრე წერეთელი, გიორგი გიორგაძე, ვაჟა კაპანაძე. ინსტიტუტში სწავლისას მომავალმა პედაგოგმა გარდა იმისა, რომ სპეციალური ცოდნა შეიძინა, იმ გასაღებსაც მიაგნო, რომლითაც ყოველი თავისი მომავალი მოსწავლის გულის კარი უნდა გაეღო. ამ გასაღებს სითბო, სიყვარული და სიკეთე ერქვა. ერთხელაც არ უმტყუნია 40 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ამ გასაღებს ლეილა მასწავლებლისთვის, რომელიც გაღებული სიყვარულისა და სითბოს წილ ყოველთვის იმკიდა პატარების ნდობას და მადლიერებას. ინტერნატში რომ მუშაობდა, უდედმამო ბავშვები ხშირად თავისთან, სახლში მიჰყავდა ხოლმე და საკუთარი შვილებივით უვლიდა, ზაფხულის არდადეგებზე კი იქ მიჰყავდა, სადაც თავად ისვენებდა. თვეობით ცხოვრობდნენ ლეილა მასწავლებლის ორ შვილთან ერთად მის ოჯახში მარეხ ზანთარია, ზურიკო მჭედლიშვილი, ედუარდ ზარგარიანი, რომლებსაც დღესაც ათბობთ ამ ადამიანის სიკეთე და სიყვარული. ლეილა კონტუაძის გაკვეთილები თბილისის 147-ე სკოლაში მისი პედაგოგიური სტილი სამაგალითო გახდა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში საქართველოს ყველა კუთხიდან კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩამოსული პედაგოგების სწავლების დასაყრდენ ბაზად იქცა, თავად ქალბატონი ლეილა კი სკოლისა და რაიონის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელად აირჩიეს. თითქმის ყოველ წელს მასპინძლობდა ლეილა მასწავლებელი ახალგაზრდა კოლეგებს, უშურველად უზიარებდა მათ ცოდნასა და გამოცდილებას, ყველაზე დიდი სიხარულიც და მღელვარებაც მაშინ განიცადა, როდესაც სკოლაში სტუდენტებთან ერთად თავისი ყოფილი პროფესორ-მასწავლებლები ეწვივნენ, რომლებმაც მრავალი წლის წინ სკოლაში სამოღვაწეოდ გზა დაულოცეს ლეილა კონტუაძეს. პედაგოგიური ოსტატობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი წლის საუკეთესო მასწავლებლად დაასახელეს.

1986 წლიდან ქალბატონი ლეილა თბილისის 155-ე საშუალო სკოლაში მუშაობს პედაგოგად და დირექტორის მოადგილედ დაწყებითი კლასების ხაზით და ჩვეული პასუხისმგებლობით ემსახურება ერთხელ უკვე ნაკისრ მისიას. მოსწავლეებისთვის გასაღები სითბო და სიყვარული კვლავაც ულევად აქვს და კვლავაც უხვად იმკის საპასუხოდ პატარების ნდობასა და მადლიერებას, რაც ახალი ენერგიით ავსებს და ძალას მატებს. ქალბატონ ლეილას ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემაზე აგებული ტკბილი და მეგობრული ოჯახი აქვს. მისი მეუღლე გურამ ქვაჩაკიძე ეკონომისტი გახლავთ, შვილები – მამუკა და ეკა იურისტები არიან. შვილიშვილები ვატო (ვატომ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა), გუგა და გურამი, თავისი კარგი ბიჭობით, სიკეთით, გონიერებითა და შრომისმოყვარეობით ახარებენ ბებიას და იმის იმედს აძლევენ, რომ სანაქებო ქართველები გაიზრდებიან.

# ვულოცავთ!



რუსთავის №23 სკოლა ახლად გახსნილი იყო, როცა ქალბატონი ნარგიზი პირველად მოვიდა ჩვენთან, სწორედ ამ დღეს გავიცანი იგი და დღემდე ერთად ვართ. ეს არის ქალი-ენციკლოპედია, სკოლის ცოცხალი მატიანე. მუდამ საქმიან მოძრაობაში, სულ რაღაცით არის დაკავებული, სიყვარულით მას „ფიგაროსაც" კი ვეძახი. უზომოდ კეთილი, ტაქტიანი, კეთილშობილი ადამიანია და ამიტომაც იმსახურებს ირგვლივმყოფთა სიმპათიას.

სულით და გულით ვულოცავ ქალბატონ ნარგიზს დაბადების დღეს და ვუსურვებ უშრეტ ენერგიას, ყველა მიზნის განხორციელებას!

**ნათელა ქინქარაული,**
**დაწყებითი კლასების პედაგოგი**

ძალიან მიყვარს ქალბატონი ნარგიზი, ან კი როგორ შეიძლება არ გიყვარდეს, უამრავი საუკეთესო თვისებით დაჯილდოებული ეს გულისხმიერი, თანამდგომი, ყურადღებიანი, კონტაქტური ადამიანი. ვულოცავ ქალბატონ ნარგიზს დაბადების დღეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ სიხარულს!

**ქეთევან ნადუნაძე**

ქალბატონი ნარგიზი გახლავთ განათლებული, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე, ბრწყინვალე სპეციალისტი, შესანიშნავი შვილის შესანიშნავი დედა, გულისხმიერი კოლეგა და მეგობარი, სკოლის ბურჯი. სიკეთით სავსე ქალბატონს მთელი სულით და გულით ვულოცავ დაბადების დღეს!

**სვეტა მიქელაშვილი,**
**სკოლის დირექტორი**

* * *

როცა ვცელქობ, მიბრაზდება, არ მინდა გავაბრაზო, მაგრამ ხანდახან ასე გამოდის. ასეთ შემთხვევაში ძალიან მკაცრია ხოლმე, თუმცა მე მაინც ძალიან მიყვარს ნარგიზი მასწავლებელი და ვულოცავ დაბადების დღეს!

**გიორგი ბართაია,**
**IV კლასის მოსწავლე**

ქალბატონი ნარგიზი, საუკეთესო პედაგოგი და დიდებული პიროვნებაა. იგი პედაგოგებსაც ძალიან უყვართ და ბავშვებსაც, არაჩვეულებრივ და ორიგინალურ ქალბატონს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ბედნიერებას, მიზნების და ოცნებების ასრულებას!

**ნინო კევლიშვილი,**
**ორგანიზატორი**





საბა ყურმაშვილი, ქ. რუსთავი,
სკოლა „მზეკაბანი", II კლასი



**გიორგი გოჩიტაშვილი,**
ქ. რუსთავი, სკოლა „მზეკაბანი",
II კლასი



## შეავსეთ უჯრედები ხილის სახელებით

გ
ა
ზ
ა
ფ
ხ
უ
ლ
ი

# ენა, მამული, სარწმუნოება



რუსთავის №31 საბავშვო ბაგა-ბაღის XI ჯგუფის 5-6 წლის აღსაზრდელებთან ჩატარდა ღია მეცადინეობა თემაზე „ენა, მამული, სარწმუნოება“ (პედაგოგი ლალი ჯანგირაშვილი, მუსიკის პედაგოგი მაია ნოზაძე). ლამაზი დღესასწაული ასევე არაჩვეულებრივად ლამაზ გარემოში ჩატარდა, ცოცხალი ყვავილებით მორთულ დარბაზში ყვავილებივით ლამაზი და მომხიბვლელი გოგო-ბიჭები ზეიმისთვის დამახასიათებელი გუნება-განწყობით საგანგებოდ მორთულ და იერუსალიმიდან ჩამოტანილი სანთლებით დამშვენებულ მაგიდასთან ისხდნენ. (სანთლები ჯგუფის ერთ-ერთი აღსაზრდელის დედამ, ქალბატონმა ლეილა პაპოშვილმა პირადად ჩამოიტანა), კედლიდან იმზირებოდა იებით გაწყობილი იაკობ გოგებაშვილის სურათი – ქართული ენის უკვდავების სიმბოლო.



მეცადინეობის დასაწყისში ყველამ ერთად ღმერთს მადლობა უთხრა, უფალი ადიდეს, შემდეგ კი უშუალოდ გაკვეთილიც დაიწყო, დაისვა კითხვები თემის ირგვლივ, გაიხსენეს საქართველოს ისტორია: მეფეები, ქართველი კლასიკოსები, საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ადათ-წესები, ქართული ტრადიციები... აღსაზრდელებმა ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის ღრმა ცოდნა გამოავლინეს. ქართული ჰიმნის ჰანგებს კარგად ერწყმოდა ეროვნული სიმბოლო: დროშა და გერბი. პატარებმა წარმოადგინეს ცეკვა „ქართული“, „მთიულური“, შესრულდა სოლო და გუნდური სიმღერები, წაიკითხეს მონოლოგები, ისმოდა პატარების გულიდან წამოსული სასოების სიტყვები: „კვლავაც ისმინე ჩვენი ვედრება, მოგვეც უფლება შენს ხატებთან სანთლებად გენთოთ! – სიმღერისათვის გვაცოცხლე, – სიკეთისათვის გვაცოცხლე, თავისუფალი საქართველოსთვის გვაცოცხლე ღმერთო!“ ღონისძიების დამაგვირგვინებელი სიმღერა მთელმა ჯგუფმა ერთად შეასრულა და ქედრდა საქართველოს, მისი ბედნიერი მომავლის სადიდებლად თვალმახარა გოგო-ბიჭების წკრიალა ხმები, დამსწრე საზოგადოება, პედაგოგები, მშობლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ისმოდა საქებარი შეძახილები, იყო ოვაცია და აპლოდისმენტები. ეს დაუვიწყარი გაკვეთილი პატარებს არაერთგზის შეახსენებს მარადიულ ფასეულობებს ამ ლამაზი ზეიმის მთავარი შემოქმედნი უფროსებთან ერთად იყვნენ თვად პატარები: ლიზი ლომია, ნიკა სვანი, ნინო ქუმსიაშვილი, ნინო პაპოშვილი, ნიკა ღლონტი, სალომე ზურაშვილი, ნანა ქოქოევი, გოგი ქოქოევი, ანანო კიკალიშვილი, ირაკლი სულთანიშვილი, დეაკო კენკებაშვილი, ალთუნა ალიევი, ასმათ ალიკპეროვა, იზა ნიკუაშვილი, ნათია კვანჭიანი, ცაკო ხუციშვილი, ვაკო ფურცელაძე, დათო ფურცელაძე, ქეთი ჭყონია, დათო ჭყონია, დათო გაგუა, ანი რობაქიძე, თამუნა თედელური.

**მაკა მახარობლიძე**

# ვინ, რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?

## სპილო უფრო მძიმეა თუ ღრუბელი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ გამოდგა. თუ სპილოს აწონვა არც ისე ძნელია, ღრუბლებს სასწორზე ვერასგზით ვერ შემოდებ. მიუხედავად ამისა, მეცნიერებმა მაინც მოძებნეს გამოსავალი.

როგორც ცნობილია, ღრუბლები წყლის წვეთებისა და ყინულის კრისტალებისგან შედგება. მეცნიერებმა ერთი წვეთისა და ერთი კრისტალის წონა დაადგინეს, მერე გამოთვალეს, რამდენი ასეთი წვეთი და პაწაწკინტელა ყინულია ღრუბელში და ყველაფერი გადაამრავლეს. აღმოჩნდა, რომ ერთი საწვიმარი ღრუბელი იმდენს იწონის, რამდენსაც 200 000 სპილო. ხოლო თუ ციკლონი დაიძრა, მისი ღრუბლები დედამიწის ბინადარ ყველა სპილოზე მძიმე იქნება!

## როგორ კეთდება ცვილი?

ცვილს ფუტკრები აკეთებენ. თითოეულ მათგანს ოთხი წყვილი ჯირკვალი აქვს, რომლებიც ცვილს გამოყოფს, ცვილი მწერის მუცლის ზედაპირზე რჩება, სქელდება და პატარ-პატარა ფირფიტების სახეს იღებს. ფუტკარი უკანა ფეხით იღებს ამ ფირფიტს და სხვა ფუტკარს გადასცემს, ის თავის მხრივ ღეჭავს მას, მანამ, ვიდრე არ დარბილდება. დარბილებული ცვილისგან ფუტკრები აკეთებენ ფიჭას, სადაც ჩეკენ შვილებს და ინახავენ თაფლის მარაგს. ადამიანები კი თაფლს რომ ამოიღებენ, ცვილისგან სანთლებს აკეთებენ.

## რატომ არ შეიძლება ერთდროულად მარცხენა თვალით მარცხნივ ვიყუროთ, მარჯვენათი კი მარჯვნივ?

სხვადასხვა მხარეს ყურება მარტო ქამელეონს შეუძლია: მოძრავი მწერების მოსაძებნად მას ფართო მხედველობის არე სჭირდება. ადამიანის თვალს კი მხოლოდ ერთი მიმართულებით შეუძლია ყურება. თითოეული თვალი ინფორმაციას დანახულის შესახებ აგზავნის ტვინში, სადაც ორივე „სურათი“ ერთიანდება. მაგალითად, ქუჩაზე რომ გადავდივართ თავს მარცხნივ ვაბრუნებთ და ხედავთ ავტომობილს და ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად შორს არის ის, სწრაფა მოდის თუ არა და ვწყვეტთ, გადავჭრათ ქუჩა თუ არა. ჩვენი თვალები სხვადასხვა მხარეს რომ იყურებოდეს, ტვინი განსხვავებულ „სურათებს“ მიიღებდა და ჩვენ სწორად ორიენტირება გაგვიჭირდებოდა.

## ვინ მოიგონა არდადეგები?

იმას, რომ სასწავლო წელი მეოთხედებად თუ სემესტრებად იყოფა, ჩეხ ფილოსოფოსსა და პედაგოგს იან ამას კომენსკის უნდა ვუმადლოდეთ. თუმცა დაფასთან ყოველდღიური გამოძახება-გამოკითხვაც მისი შემოღებულია.

## რა სძენს ფარშევანგის კუდს ასეთ სილამაზეს?

ახლახან ჩინელმა ფიზიკოსებმა ელექტრომიკროსკოპით შეისწავლეს ფარშევანგის ბუმბულები და აღმოაჩინეს მელანინის უმცირესი ჩხირები, რომლებიც ამ ფრინველის ბუმბულებზე ულამაზეს ნახატს ქმნიან. აღმოჩნდა, რომ ამ ჩხირებში გავლისას სინათლის ტალღები იყოფა და სწორედ ამის შედეგად წარმოიქმნება ფარშევანგის კუდის არაჩვეულებრივი სილამაზე.

## რით რეგულირდება ჩვენი გუნება-განწყობილება?

ჩვენს განწყობილებას – სიხარული იქნება ეს, თუ წუხილი – ტვინი არეგულირებს, რომელიც ამისთვის სპეციალურ ნივთიერებებს იყენებს. ამ ჯადოსნური ნივთიერებების სულ მცირე რაოდენობაც კი საკმარისია იმისათვის, რათა სასწაულები მოხდეს. პაწაწკინტელა მოლეკულები ნერვულ უჯრედებს უტევენ. მაგალითად, კორტიზოლის მოლეკულები გულს გვიჩქარებენ და ასეთ მდგომარეობაში ჩვენ უკეთესად ვრეაგირებთ საფრთხეზე. ენდორფინი სიხარულსა და ბედნიერებას გვანიჭებს, ხოლო როდესაც რაღაც არ მოგვწონს, ტვინი დოპამინის მოლეკულებს გამოიმუშავებს.

# „მაგარი“ გამოგონებები

## ტელეფონი ლიმუზინისთვის



ინდოელმა დიზაინერმა აპარნა რაომ თავისი მდიდარი და ზარმაცი ბიძისთვის 2-მეტრიანი ტელეფონი შექმნა. ეს გაზულუქებული ბატონი ტელეფონის ნომრებსაც კი მსახურს აკრეფინებს და იმისთვის, რომ როგორმე მაინც გაემართლებინა ბიძის ასეთი საქციელი, ძმისშვილმა გამოიგონა აპარატი, რომლის ხმარება მხოლოდ სხვისი დახმარებით შეიძლება: მსახური ტელეფონის ერთ ბოლოში კრეფს ნომერს, ბიძას კი მეორე ბოლოში უჭირავს ყურთან ტელეფონი.

## რობოტი მათხოვარი




სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლანის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში ელექტრონული მათხოვარი გამოჩნდა. რობოტი კვადრატულ თვალებს ახამხამებს, მყიდველებს „ხელებს“ უშვერს და ცოტაოდენ ფულს სთხოვს, ეს უცნაური რობოტი მლიანად წარმოებიდან ამოღებული კომპიუტერის სათადარიგო ნაწილებისგან არის დამზადებული. მის მიერ შეგროვებული ფული დაურიგდება სლოვენიის ნამდვილ მათხოვრებს – იმათ, ვისაც ქუჩაში ხელგაშლილი დგომის რცხვენიათ.

## უჩინარი ტელევიზორი

უნიკალური ტელევიზორი Claro TV ჰაერში ჩამოკიდებული გეგონებათ, მას არც კორპუსი აქვს და არც სადენება, გამორთვის შემდეგ კი საერთოდ უჩინარი ხდება. Claro TV ერთ სანტიმეტრზე ოდნავ ნაკლები სისქის მინისგან არის დამზადებული. ჰოლოგრაფიული საფარის 40 დიუმიან ეკრანს უკან დაყენებული პროექტორი ანათებს. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს უჩვეულოდ ცოცხალ, დიდსა და მკაფიო გამოსახულებას და ისეთ ეფექტს ქმნის, თითქოს თქვენ უშუალოდ მონაწილეობთ იმაში, რაც ეკრანზე ხდება – იქნება ეს „ამერიკული მთები“ თუ კოსმოსური რაკეტის კაბინა.

## მსოფლიოში უდიდესი მობილური ტელეფონი



გერმანიის ქალაქ ბაირეიტში ერთ-ერთ ქუჩაზე ორ მეტრამდე სიმაღლის მობილური ტელეფონი Maxi Handy დადგეს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს გიგანტური ტელეფონით, გადასცეს და მიიღოს ტექსტური, აუდიო, ფოტო და ვიდეოგზავნილი.

## ფიჭური ტელეფონი ძაღლებისთვის

ძაღლებისათვის განკუთვნილი ტელეფონი Petcell პირდაპირ საყელოზე მაგრდება. თუ შენს ძაღლთან დალაპარაკება მოგინდება, აკრიფე ნომერი და Petcell ავტომატურად გიპასუხებს, ძაღლი გაიგონებს ყველაფერს, რასაც ეტყვი, შენამდე კი სავსებით გარკვევით მოაღწევს მისი ყეფა. პატრონის ტელეფონზე დაპროგრამებული ღილაკი კი ძაღლის მოძებნაშიც დაგეხმარება. იმ შემთხვევაში, თუ შენი ძაღლი გაიქცა, მისი ნებისმიერი მპოვნელი მაშინვე შეძლებს შენთან დარეკვას და ოთხფეხა მეგობართანაც დაგალაპარაკებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის ვიტამინი

* * *

პიერმა მანქანა გააჩერა:

–ძია, სკოლამდე მიმიყვანეთ რა.

–მე სხვა გზით მივდივარ, – უთხრა მძღოლმა.

–მით უკეთესი, – მიუგო ბიჭმა.

* * *

ტელეფონმა დარეკა. ყურმილი პატარა ჰანსმა აიღო.

–საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურიდან ვრეკავთ, დეპეშაა, – გაისმა ყურმილში.

–დედა და მამა შინ არ არიან, –უპასუხა ბიჭმა.

–არა უშავს, შენ მიიღე დეპეშა, აბა, ფანქარი მოიმარჯვე.

–კარგი, ახლავე მოვიტან, – უპასუხა ჰანსმა და ყურმილი მაგიდაზე დადო. დიდხანს ეძება ფანქარი.



–გთხოვთ, კიდევ ერთი წუთი მომითმინოთ, ფანქარი კი ვიპოვე, მაგრამ წვერი წასათლელი აქვს, ახლავე მოვძებნი.

როგორც იქნა, ბიჭუნამ წათლილი ფანქარი იპოვა და ყურმილში ჩასძახა.

–ალო, ვიპოვე, ფანქარი ხელთა მაქვს, მაგრამ იცით რა?

–რა? – ჰკითხა ტელეფონისტმა.

–მე ჯერ წერა არ ვიცი.

* * *

მოსწავლეები წერდნენ საკონტროლო სამუშაოს: „სტუმრად ბებიასთან". ყველაზე ადრე ნაშრომი ფრანტიშეკმა ჩააბარა. ფურცელზე ეწერა: „ბებია შინ არ დამხვდა".

* * *

დიკმა დედას ერთი პენი სთხოვა

–რაში დახარჯე ის ფული, გუშინ რომ მოგეცი? – ჰკითხა დედამ.

–ერთ მოხუც ქალს მივეცი.

–კარგი გიქნია შვილო. აი, შენ კიდევ ერთი პენი! ახლა კი მითხარი, რატომ მიეცი იმ ქალს ფული?

–ტკბილეულს ყიდდა.

* * *

–დედა, ჰანსმა მეხსიერება დაკარგა?

–რატომ გგონია?

–აბა რა, დღეს ორჯერ დაიბანა ხელ-პირი.

* * *

–დედა, თხილი მინდა.

–აიღე.

–არა, სჯობს შენ მომცე, უფო დიდი მუჭი გაქვს.

* * *

მასწავლებელი:

–ჯეკ, ვინ დაგეხმარა ამ რუკის დახატვაში?

ჯეკი:

–არავინ, სერ.

მასწავლებელი:

–დავიჯერო შენი ძმა არ გეხმარებოდა?

ჯეკი:

–არა, სერ. ჩემი ძმა მარტო ხატავდა.

* * *

მასწავლებელი: – რატომ მგზავრობენ ადამიანები უდაბნოში აქლემებზე ამხედრებულები?

მოსწავლე: – იმიტომ, რო ფეხსაცმელებში ქვიშა არ ჩაეყაროთ.

* * *

პატარა მარენკა სასეირნოდ იყო გარეთ. უცებ დედამისმა დაინახა, რომ მარენკა ძროხასთან მისულა და შოკოლადს აჭმევს.

–რას აკეთებ? – გაუჯავრდა დედა შვილს.

–არაფერს, დედიკო, ძროხას შოკოლადს ვაჭმევ, ხვალ რომ კაკაო მოიწველოს.

* * *

მამამ შვილი ზოოპარკში წაიყვანა. ვეფხვის გალიასთან ფირნიში ეკიდა წარწერით: „ფრთხილად, შეღებილია!"

გოგონამ დიდხანს უყურა ვეფხვს და იმედგაცრუებულმა თქვა:

–მე კი მეგონა, ზოლები ნამდვილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინილო — ბინილო

## კროსვორდი



**თარაზულად:** 4. ევროპისა და აზიის ერთიანი მატერიკი. 7. განთიადი. 8. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი. 8. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 10. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 11. ბულგარული ფულის ერთეული. 12. წვრილი, უკურკო ქიშმიში. 15. ზღვის ყაჩაღი. 16. აფრიკის სახელმწიფო. 18. ქიმიური ელემენტი.

**შვეულად:** 1. ქართველი პოეტი. 2. ესპანეთის ქალაქი. 3. პატარა საზღვაო თევზსაჭერი გემი. 5. ახალი გზის გამკაფავი მეცნიერებაში, ხელოვნებაში. 6. დრამატული ნაწარმოები. 12. ხმელთაშუა ზღვის კუნძული. 13. ტბებისა და მდინარეების სქელტყავიანი ცხოველი. 14. ჯორჯიის შტატის (აშშ) ქალაქი.

**რკალურად:** 2. კამერული მუსიკის ჟანრი. 3. მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში. 15. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა 17. თანამდებობათა თანმიმდევრობა უდაბლესიდან უმაღლესისაკენ.

## გეოგრაფიული ჩაინვორდი

1. სახელმწიფო ევროპაში. 2. მდინარე ჩრდილო ამერიკაში. 3. სახელმწიფო ევროპაში. 4. კონტინენტი. 5. უდიდესი ტბა რუსეთის ფედერაციაში. 6. სახელმწიფო ევროპაში. 7. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში. 8. დიდი ანტილის კუნძულთა ჯგუფის ერთ-ერთი კუნძული. 9. მატერიკი. 10. სახელმწიფო ევროპაში. 11. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე.



# საქართველოს მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის 155-ე სკოლა,
პედაგოგი ლეილა კონტუაძე
თავის მოსწავლეებთან ერთად



8 წლის
თიკო ჯაბნიაშვილს
ვულოცავთ
დაბადების დღეს!



თბილისის 21-ე საჯარო სკოლა,
IIბ კლასი, ხელმძღვანელი
ნატო გრიგოლია



თბილისის 21-ე საჯარო
სკოლა, II კლასი,
ხელმძღვანელი
ირმა ბალავაძე



თბილისის 21-ე საჯარო
სკოლა, II კლასი,
ხელმძღვანელი
ხათუნა დათუსანი
ეთიკის პედაგოგი
ირინა ლომიძე

# ჩვენი ვერნისაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა
6117/13





ნათია ბექაური,
ფასანაურის
საშუალო სკოლა.





ჯუდერი ბიჭიკაშვილი, ქ. რუსთავი, სკოლა „მზეკაბანი“, I კლასი





ნიკა ალელიშვილი,
ქ. რუსთავი, სკოლა
„მნათობი“, III კლასი.

ლუკა ვაჭარაძე,
ქ. რუსთავი, სკოლა
„მზეკაბანი“, II კლასი



